ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 22 მარტი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. დასაზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორი საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დღ. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 7 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 7

დიდი რევოლუცია.

მუშათა დეპუტატების

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო

მოთავსებულია ყოფილ მეფის მოადგილის სასახლეში. ბიურო ღიაა დილის 10—3 საათამდე, საღამოს 5—9 საათამდე.

ზავის გარშემო.

უკანასკნელი ცნობით, გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ სტოკჰოლმში გაგზავნა თავისი წარმომადგენლები, რომლებმაც რუს ემიგრანტ სოც.-დემოკრატებთან გამართეს მოლაპარაკება ზავის პირობების შესახებ. თუ როგორია გერ. სოც. დემოკრატების მიერ წამოყენებული ზავის პირობები, ამის შესახებ დაწვრილებით ჩვენ ჯერჯერობით არაფერი არ ვიცით. ამ ჟამათ ამას არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყოველ შემთხვევაში ერთში კი დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ გერმანელი ამხანაგებიც უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის მოსარჩლე იქნებიან. ამის თავდებია ის, რომ უკანასკნელ დროს გერმანიის სოც.-დემოკრატებს შორის ჰაზე-მერინგის მიმდევართა გავლენა დიდათ გაიზარდა, ხოლო შეიდემან-ჰეინესი დაეცა. რომ ეს ასეა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ გერმ. სოც. დემოკრატიამ მთელი ომის განმავლობაში მხოლოდ ეხლა მისცა ბიუჯეტის წინააღმდეგ ხმა. ეს იმის ნიშანია, რომ მან უარყო 4 აგვისტოს ტაქტიკა და დაადგა ინტერნაციონალურ გზას. ცხადია, დღეიდან მშვიდობიანობის დამცველთა რაზმს კიდევ ერთი დიდი ძალა ემატება. რუსეთის დიდმა რევოლუციამ ქვეყანა „ევროპის ჟანდარმიდან“ გაანთავისუფლა და რუსეთის ხალხს საშუალება მისცა ომის საკითხი თვითონ გადასჭრას.

ომი გაბატონებულმა კლასებმა დაიწყეს, მარა იგი ჩვენ უნდა დავათაოთო, ამბობდა სახ. დუმის სოც.-დემ. ფრაქცია თავის პირველ დეკლარაციაში.

ბევრს ასეთი დეკლარაცია და განცხადება სასაცილოთაც არ ყოფნიდა. მარა ცხოვრებამ ჩხეიძე ლიბკნეხტ-ჰააზე გაამართლა. დღეს რუსეთის ხალხი თვითონ სჭედს თავის ბედს. პეტროგრადის მუშათა საბჭომ, როგორც ვიცით უკვე მიმართა ყველა ქვეყნის მუშათა კლასსა და კერძოთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, საერთო ძალით მოუღონ ბოლო უმსგავსო სისხლის ღვრას. მუშათა საბჭოს მოწოდება ჰაერში გამოკიდებული არ რჩება, ის ნაყოფს იღებს. სტოკჰოლმში ორი უმთავრესი მებრძოლი ქვეყნის სოციალისტები ერთმანეთს ხელს უწვდიან და ზავის პირობებზე მოლაპარაკებას მართავენ.

ამგვარათ გერმანიის სოც.-დემოკრატიის იმპერიალიზმის გავლენისგან თავის დაღწევა და რუსეთის პროლეტარიატის თვითმპყრობელობის კლანჭებიდან განთავისუფლება აჩქარებს იმ მომენტს, როდესაც გაბატონებული კლასების მიერ დაწყებულ ომს, საერთაშორისო დემოკრატია სათავეში უნდა ჩაუდგეს და იგი თავისი ინტერესების დამიხედვით დაამთაოს.

დეზერტირობა.

ბიუროკრატიული წყობილების უკანასკნელ ხანაში დეზერტირობამ მეტათ ფართო ხასიათი მიიღო. ჯარისკაცები პოზიციებიდან გარბოდენ, ხოლო ახლათ გასაწვევნი იმალებოდენ. ეს მრავალი მიზეზით აიხსნება, სხვათა შორის ამას ხელს უწყობდა ჯარისკაცთა უფლებების ფეხქვეშ გათელვა. აგრეთვე ხალხი აშკარათ ხედავდა, რომ ომი მთავრობამ თავისი მდგომარეობის გასამტკიცებლათ და მოქალაქეთა დასამორჩილებლათ გამოიყენა.

მარა მეფობა დაემხო, ბიუროკრატია ალაგმეს. იბადება კითხვა: რა გზას უნდა დაადგეს ამ პირობებში დემოკრატია?

დეზერტირობა ჩვენ თავიდანვე დავგმეთ, მართლაც ეს იწვევდა ყველგან, განსაკუთრებით სოფლათ რეპრესიებსა და ყაჩაღთა თარეშის გაძლიერებას, ნებით თუ უნებლიეთ ჯარიდან გამოქცეულთა საკმაო ნაწილი ყაჩაღებს უერთდებოდა და მშვიდობიან მცხოვრებთ იკლებდენ, დეზერტირობა თავის-თავათ რეაქციას აძლიერებდა.

ამჟამათ საერთო მდგომარეობა ძირ-ბუდიანათ გამოიცვალა. რევოლუციის გამარჯვება რამოდენიმეთ ჯარის ამოძრავებას მიეწერება. გადაუდგება ჯარი ხალხს დარწმუნებული უნდა იყოთ, კონტრ-რევოლუცია თავს წამოყოფს და თავისუფლება საფრთხეში ჩავარდება. ამის წინააღმდეგ ეხლავე შესაფერი ზომები უნდა მივიღოთ. დღემდის ჯარი რეაქციის ბნელ იარაღს წარმოადგენდა, ახლა მან ხალხისაკენ პირი იბრუნა. რაც უფრო მეტია რევოლუციონერი ჯარის სხვადასხვა ნაწილებში, მით უკეთესი საერთო საქმისთვის. წინათ რევოლუციონური აგიტაცია ჯარში სასტიკათ იდევნებოდა, ახლა ჯარმა უკვე მოიპოვა მოქალაქობრივი უფლებანი და მათ გამოყენებას შეუდგა. ფართო აგიტაცია გაჩაღდა. აქ ყოველი შეგნებული პირი ხალხს დიდ სამსახურს გაუწევს. ამიტომაც ყოველი რევოლუციონერი დეზერტირი ვალდებულია თავის ნაწილებს დაუბრუნდეს და იქ რევოლუციონური იდეების გავრცელებას შეუდგეს. 1905 წელში ჩვენ წითელ რაზმებს ვადგენდით, რომ შეიარაღებული ძალით რეაქციის ბატონობა დაგვემხო, ახლა შეიარაღებულია ხალხის საუკეთესო შვილები და აი სწორეთ მათ შორის უნდა გაჩაღდეს შესაფერი აგიტაცია

ამას გრძნობს დროებითი მთავრობაც, 17 მარტს მან სისხლის სამართლის დამნაშავეთა ამნისტია გამოაცხადა, რომელიც დეზერტირებსაც ეხება. ვინც სამხედრო სამსახურს ემალებოდა, უკეთუ 1 მაისამდე სამხედრო უფროსთან გამოცხადდება, ყოველი სასჯელისაგან თავისუფლდება, კავკასიის არმიის უფროსმა ახალი ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც სასჯელი ეპატიება იმ პირებსაც, რომელთაც ფრონტზე ყოფნისას რაიმე დანაშაული ჩაუდენიათ, უკეთუ ერთი თვის განმავლობაში ჯარში დაბრუნდებიან და გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთგულათ იმოქმედებენ. ახალი მდგომარეობა შეიქმნა. ამას ანგარიში უნდა გაუწიონ დეზერტირებმა, ხალხის ინტერესი მოითხოვს, რომ ისინი თავის ნაწილებს დაუბრუნდენ და იქ შეეცადონ რეაქციონერთა ალაგმვას, უკეთუ ისინი თავს წამოყოფენ და ძველი რეჟიმის აღსადგენათ ამხედრდებიან. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, ხალხის შვილები შეიგნებენ საერთო ინტერესს, დემოკრატიის გვერდში ამოუდგებიან და ჯარში რევოლუციონური პროპაგანდის გაჩაღებით მას ხალხს საბოლოოთ დაუკავშირებენ. დეზერტირები ფრონტისაკენ! აი რას მოითხოვს ახლანდელი რევოლუციონური მომენტი.

ნიკოლოზ რომანოვი და ინგლისის მინისტრი.

ტახტიდან ჩამოგდებულმა „სრულიად რუსეთის“ თვითმპყრობელმა ნიკოლოზ რომანოვმა პირველი ამხანაგური სალამი მიიღო. და ამ სალამის ხმა გაისმა არა შავრაზმელთა სარდაფებში, არამედ ყველაზე მეტ უფლებიან ინგლისის პარლამენტში. აღსანიშნავია, რომ სალამის ხმა გავიგონეთ არა მონათა ბაგეთაგან, რომელნიც ფეხებს ულოკავდენ მეფეს მორჩილების ნიშნათ, არამედ დამოუკიდებელ ინგლისის მინისტრის, ლორდთა პალატის ლიდერის—ბონარ ლოუს ბაგეთაგან.

სწორეთ იმ დროს, როდესაც რევოლუციონური რუსეთი აღფრთოვანებული დღესასწაულობდა გახრწნილსა და ტირანიულ რომანოვების დინასტიაზე თავის ბრწყინვალე გამარჯვებას, სწორეთ ამ დროს, ინგლისის პარლამენტში ჩვენი „მოკავშირე“ ბონარ ლოუ შემდეგს ამბობდა: „მე იმედი მაქვს, ნებას მომცემენ თანაგრძნობა ვუძღვნა იმ უკანასკნელ მეფეს, რომელიც, ჩემის ღრმა რწმენით, სამი წლის განმავლობაში ინგლისის ერთგული მოკავშირე იყო“.

იბადება კითხვა: ვისი მოკავშირე იყო ინგლისის მინისტრი ბონარ ლოუ?—ტახტიდან ჩამოგდებული მეფის, თუ ახლათ განთავისუფლებული რუსეთის? დღეს საიდუმლოებას ფარდა ეხდება და ჩვენ ვხედავთ „უკანასკნელი მეფის“ სამშობლოს გაყიდვისა და ღალატის განზრახვას; მეფეს აზრათ ქონდა მინსკის ფრონტის კარების გაღება და „საძაგელი“ რევოლუციონური ხალხის ამოჟლეტა. სწორეთ ამ დროს, როდესაც მეფე ასეთი განზრახვით იყო შეპყრობილი, ინგლისის პარლამენტში გაისმა შემდეგი ხმა: „სალამი ჩვენს ერთგულ მოკავშირე ნიკოლოზ მეორესო“.

ჩვენ არას დროს არა ვფიქრობდით, რომ ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის მთავრობათა კავშირი წარმოადგენდა კავშირს პოლიტიკური თავისუფლებისას. პირიქით, ჩვენ მრავალი ფაქტები მოგვეპოვებოდა იმის დასამტკიცებლათ, რომ მოკავშ. მთავრობები ხელს უწყობდენ რუსეთის რეაქციას და არა მარტო ხელს უწყობდენ და აძლიერებდენ, არამედ კიდევაც ბაძავდენ მას და ამ ომის დროს რუსეთის თვითმპყრობელობის რამოდენიმე დამახასიათებელი თვისებებიც კი გადიიღეს. იმ უდიდეს დანაშაულობებს, რომელსაც რუსეთის რეაქცია ჩადიოდა ამ ომის დროს მოკავშირეთა მიმართ, მოკავშირეთა მთავრობები სრულებით არ ეხმაურებოდენ და ყოველთვის სიჩუმით უპასუხებდენ; წარმოიდგინეთ ხშირათ ამის შესახებ სამინისტროში მოკალათებული სოციალისტებიც კი სდუმდენ. მაგრამ დღეს, როდესაც რუსეთის ხალხმა ძველი მთავრობა დაამხო და თავისუფლების დროშაააფრიალა, ინგლისის მინისტრმა ისეთი უტიფარი გაბედულება გამოიჩინა, რომ სალამი უძღვნა გამცემსა და ავაზაკ ნიკოლოზ მეორეს. მეფის იმ რეჟიმს, რომელიც ნამდვილი გამცემი და მცარცველი იყო, ინგლისის მინისტრები არას დროს არ უცხადებდენ გულახდილათ უნდობლობას. მაგრამ ახალ მთავრობას კი, იმ მთავრობას, რომელიც განთავისუფლებულმა დემოკრატიულმა რუსეთმა ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივა და მართვა-გამგეობის სათავეში მოაქცია, გამოუცხადა უნდობლობა ინგლისის მინისტრმა. ეს ნათლათ გამოსჭვივის მისი სიტყვებიდან, რომელიც ასე იწყება: „ნაადრევია—ამბობს ის—იმაში დარწმუნება, თითქოს ახალ მთავრობას საძირკველი გაემაგრებინოს, ის საძირკველი, რომელზედაც, ბერკის სიტყვებით, თავისუფლების სამართლიანობასთან ერთათ შეერთებულს განახლების და კეთილდღეობისაკენ მივყევარ“. ვინაა ეს ბერკი, რომელსაც ლორდთა პალატის ხელმძღვანელი ბონარ-ლოუ იხსენიებს? ეს არის უკიდურესი მოსისხლე მტერი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და მოყვარე მთელი ევროპის დესპოტიზმისა; ეს ის ადამიანია, რომელიც რევოლუციონურ საფრანგეთთან ბრძოლას მოითხოვდა და რომელიც მეფის ხარჯზე ინახებოდა. აი ასეთ ადამიანის ავტორიტეტს ემყარება ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი ბონარ-ლოუ, და რუსეთის რევოლუციონურ მთავრობას უნდობლობას უცხადებს. მას არ სწამს რუსეთის ახალი მთავრობა, ხოლო ჩქარობს თანაგრძნობა გამოუცხადოს გადაყენებულ მეფეს. ჩვენ შეგვეძლო გვერდი აგვეხვია ასეთი კონტრ რევოლუციონური გამოსვლისთვის, რომ ასეთი გამოსვლის უკან არ იმალებოდეს ინგლისის იმპერიალისტური წრეების აღშფოთება. მათ ეშინიათ, რომ განთავისუფლებული რუსეთის ხალხი აწი აღარ გახდება შეთანხმების სახელმწიფოთა იმპერიალისტების ხელში უბრალო სათამაშო ტიკინათ. ინგლისის ელჩი—ბიუკენენი ნებას აძლევს თავის თავს ილაპარაკოს რუსეთის განთავისუფლებული ხალხის მთავრობასთან ისე, როგორც ლაპარაკობდა ის წინეთ მეფის გვარეულობის გაიძვერებთან. გარეშე საქმეთა ახალ მინისტრს შესაფერი სიტყვაც კი ვერ გამოუძებნია საპასუხოთ და არწმუნებს ინგლისის ელჩს, რომ მოკავშირეთა იმპერიალისტების მიერ წარმოდგენილი სისხლის ანგარიში სავსებით იქნება გასტუმრებული. მაგრამ არა, რუსეთის თავისუფალი ხალხი გადასინჯავს ამ ანგარიშს და ერთ წვეთ სისხლსაც არ გაიღებს იმპერიალისტთა დაპყრობითი მადის დასაკმაყოფილებლათ. ანექსიონისტების მიერ წარმოდგენილ ანგარიშების თანახმათ რუსეთის თავისუფალი ხალხი არაფერს არ გაისტუმრებს. რუსეთის თავისუფალი ხალხი თავისი მხრით რევოლუციონურ ანგარიშს წარუდგენს გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის პროლეტარიატს; მოითხოვს მათგან რევოლუციონურ გამოხმაურებას და განმანადგურებელ ომის სრულ ლიკვიდაციას. სწორეთ ასეთი ანგარიშით იქნება ყველაფერი სავსებით გასტუმრებული და ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა განგაშსა და გაიძვერობას ბოლო მოეღება. (რ. გ.).

ფინლიანდიის ახალი კანონმდებლობა.

ფინლიანდიის კონსტიტუცია აღდგენილ. მას რუსეთის რეაქციის რკინის სალტეები შემოეხსნა, და თავისუფალ ცხოვრებას შეუდგა.

დღეს ფინლიანდიის ხალხი საკანონმდებლო მუშაობას იწყებს და ამ ნიადაგზე ერთი ნაბიჯი კიდეც გადადგა. ფინლიანდიის სეიმმა დიდმნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიური რეფორმები შეიმუშავა და აქედან მრავალი უკვე სისრულეში მოიყვანა. დეპეშათა სააგენტოს ოფიციალური ცნობით ფინლიანდიის სეიმს უკვე მიუღია სამრეწველო და საპროფესიო ინსპექციების გაუქმების პროექტი, აგრეთვე კანონპროექტი სახელმწიფო დაზღვევის და კერძოთ ავათმყოფობის და ინვალიდობისაგან დაზღვევის შესახებ, საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება, ენისა და სინდისის თავისუფლება, სასოფლო მეურნეობის განვითარება და სხვა ყველა აქ ჩამოთვლილი რეფორმები უდიდეს სოციალურ კანონმდებლობათ ითვლება. განათლებული ქვეყნების სოციალისტური პარტიები დასახელებულ რეფორმების შემოღებას დიდი ხანია ეტრფიან. ფინლიანდიის სოციალისტური პარტია, განვითარებული და გათვითცნობიერებული მუშათა კლასი დიდი ხანია მზათ იყო ამ რეფორმების ცხოვრებაში გატარებისათვის; იქ საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება დემოკრატიის სასარგებლოთ ლაპარაკობდა; განსაკუთრებით უკანასკნელი სეიმის არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა აბსოლიუტური უმრავლესობა მოიპოვეს, მაგრამ მათ რუსეთში არსებულ რეაქციის ზედგავლენით საშვალება არ ეძლეოდათ საპარლამენტო და საზოგადოთ კლასობრივი ძალთა-განწყობილება დაჩაგრულ დემოკრატიის სასარგებლოთ გამოეყენებიათ. რუსეთის რევოლუციამ ფინლიანდიის მცხოვრებთ ფართო სოციალური კანონმდებლობის შემოღების გზა გაუხსნა. ამიერიდან დემოკრატია იქ საბოლოო მიზნის განხორციელებისაკენ გაეშურება. ერთი ქვეყნის დემოკრატიის გამარჯვება მეორე ქვეყნის დემოკრატიის გამარჯვებას იწვევს. ამ გზით დიადი მცნება—პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!—უდიდეს პრაქტიკულ მოვლენათ იქცევა.

პრესა.

გაზეთი „საქართველო“ სჩანს დარწმუნდა, რომ ნაციონალისტთა მიერ ატეხილი განგაში ქართველ ერს კარგს არას უქადის. ამის საბუთს იძლევა გაზეთის მეთაური, სადაც შემდეგს ვკითხულობთ:

„ჩვენს ქვეყანაში, ზოგიერთ საზოგადოებრივ წრეში, დროებითი მთავრობის შესახებ სრულიად უკუღმართი შეხედულება შემუშავდა. ბევრს ჰგონია, რომ დროებითი რევოლუციონურ მთავრობას შეუძლია და უეჭველიც მოგვანიჭოს ეროვნული ავტონომია, საეკლესიო ავტოკეფალია, თვით საქართველოს დამფუძნებელი კრებაც კი: ამისთვის საჭიროა მხოლოდ შესაფერი რეზოლიუციების, პეტიციების და შუამდგომლობის გაგზავნა პეტროგრადში...

თავისთავად ცხადია, რომ ახალი კანონებისა და ახალი კონსტიტუციის შემუშავება დროებითი მთავრობის საქმე არ არის. ახალი სახელმწიფო კანონმდებლობა უნდა შეიმუშავოს მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი ხმის შემწეობით იქნება არჩეული და მთელი რუსეთის ნებისყოფასა და სურვილებს გამოჰხატავს. იმ სამოქალაქო უფლებებს, რომელიც ეხლანდელმა რევოლუციონერმა მთავრობამ მოგვანიჭა, დროებითი ზომის ხასიათი აქვს. მათი დაკანონება მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია. ამ კრებამ უნდა გადასწყვიტოს ავტონომიისა თუ ავტოკეფალიის საკითხიც“ და სხ.

ჩვენ თავიდანვე ამას ვამბობდით. თუ გაზეთის ხელმძღვანელები ამ აზრს სავსებით იზიარებენ, მაშ რით აიხსნება მათი უმსგავსო გალაშქრება დასელთა წინააღმდეგ?

ეროვნული საკითხის გადაჭრა ამიერ-კავკასიაში ერთა და პარტიათა შეთანხმებას მოითხოვს. დროა ამას ჩაუკვირდენ ქართველი ნაციონალისტები და შესაფერი ნაბიჯების გადადგმას შეუდგენ.

შენიშვნა.

ეს ერთი ხანია მოუცლელობის გამო ყველა გაზეთების კითხვას ვერ ვასწრებ და მხოლოდ ახლა გავიგე, რომ ქართველი ნაციონალისტების ორგანოებს პირადათ მე ამოუჩემებივარ და ყოვლად საზიზღარ წერილებს მიძღვნიან. როცა ჭაობი შრება, მყრალი სუნი დგება და ამიტომ ასეთ გამოსვლებს ყურადღების ღირსათ არ ვრაცხ. რევოლუციამ როგორც სჩანს, მათი სულიერი მდგომარეობა ერთიანათ ააფორიაქა, ყოველივე ზომას გადააშორა და დაიმსახურა რევოლუციის ყველა წრეში პროტესტი და გულის წყრომა. ესეც საკმაო სასჯელია მათთვის და ჩვენ ამას აღარას უმატებთ. მხოლოდ არ შემიძლია არ მივაქციო ყურადღება „საქართველოს“ კვირინდელ ცნობას, რასაც პროვოკატორული სუნი უდის. ამ გაზეთში სწერია, ვითომ მე ტელეგრამით მიმეწეროს თელავის მაზრის უფროსისათვის—იყავით თქვენ ადგილზე, არ ჩააბაროთ იარაღი თელავის აღმასრულებელ კომიტეტსაო! რასაკვირველია, არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა და სავსებით მოჭორილია ნაციონალისტების მიერ. უკანასკნელათ მოუწოდებთ მათ ჩადგენ რევოლუციონურ დისციპლინის კალაპოტში, თავი დაანებონ ყმაწვილურ ალტყინებას და მოიპოვონ სულიერი სიმშვიდე. წვერ-ულვაშიან ხალხს არ შეფერის ბავშვის ტანისამოსის ტარება.

ნ. ჟორდანია.

დეპეშები.

ნაციონალური გვარდია მოსკოვში.

მუნიციპიალური პოლიციის გარდა, მოსკოვში დაარსდა ნაციონალური გვარდია. უკანასკნელი დახმარებას უწევს პოლიციას განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად დიდი მანიფესტაციებისა და სადმე ცეცხლის გაჩენის დროს.

დაპატიმრებული ყოფილი მეფე და დედოფალი.

როგორც „ბირჟევია ვედომოსტი“ იტყობინება, ყველა სასახლის მოხელეებს, რომელნიც ნიკოლოზ მეორესთან ერთათ დაატყვევეს პეტროპავლოვის ციხეში გზავნიან, რათა დაპატიმრებული მეფე-დედოფალი სავსებით განაცალკეონ. მათ ეყოლებათ მიჩენილი განსაკუთრებული დარაჯები, რომელნიც უხილავათ ადევნებენ თვალ-ყურს, რათა დატყვევებულნი მუდამ სასახლეში იყვნენ.

საფრანგეთი და რუსეთი.

„ჰუმანიტე“ თავს იწერს და ვერ აფასებს ჯერჯერობით პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მოწოდებას ვინაიდან ამ

მოწოდების ტექსტი საფრანგეთის ცენზურამ ძალზე შეამოკლა.

კომისარების გაგზავნა ფრონტზე.

გენერალ პოლივანოვის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი იმ კომისარების შესახებ, რომელთაც ევალებათ ფრონტზე წასვლა და ჯარისთვის დღევანდელი მომენტის მნიშვნელობის ახსნა.

პროექტი ჯარისკაცთა შესახებ.

სამხედრო უწყების წარმომადგენლები პროექტს იმუშავებენ ჯარისკაცთათვის ჯამაგირის გადიდების შესახებ. ამასთანავე ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს უფლება უნდა მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ დამფუძნებელ კრების არჩევნებში. სამხედრო ჯილდოს მიცემას თვით სწყვეტს და ამა თუ იმ სალდათს იგი აჯილდოებს.

მღვდ. ათანასიევი პროვოკატორის როლში.

როსტოვის დამცველ განყოფილებაში („ოხრანკა“) დოკუმენტები აღმოაჩინეს, საიდანაც გამოირკვა, რომ პირველი სახ. დუმის წევრი—მღვდელი ათანასიევი მსახურობდა „ოხრანკაში“ და 100 მ. ჯამაგირს იღებდა.

ქალაქის მოურავის გადაყენება.

როსტოვის აღმასრულებელმა კომიტეტმა ქალაქის მოურავი—ხმელნიცკი თანამდებობიდან გადააყენა.

გენ. ივანოვის განცხადება.

პეტროგრადში ჩამოყვანილმა დაპატიმრებულმა გენერალ ივანოვმა თავრიდის სასახლის კომენდატის ადიუტანტს განუცხადა, რომ მას ძლიერ უკვირს, თუ რატომ დააპატიმრეს, ვინაიდან კიევში ჩამოვიდა დასასვენებლათ და საკუთარი საქმეების მოსაწყობათ, ჯარისკაცთა მოთხოვნით ივანოვმა თითონ გამოიტანა მატარებლიდან თავისი ბარგი და სთხოვა თავრიდის სასახლეში წაეყვანათ.

ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრები.

ნიჟეგოროდის გარნიზონმა ბრძანება გამოსცა ჯარში, სადაც ნათქვამია, რომ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრები თავისუფლდებიან სხვადასხვა ადგილებში გაგზავნისა და გადაყვან-გადმოყვანისაგან. დღეიდან ისინი ხელშეუხებელნი იქნებიან.

საფრანგეთის სოციალისტები და ომი.

პარიზიდან პეტროგრადში წამოსულა სოციალისტების ერთი ჯგუფი, რომელსაც განზრახვა აქვს რუსეთის ამხანაგებთან მოლაპარაკება გამართოს ომის საკითხის შესახებ. პარიზის პრესა იმედოვნებს, რომ საფრანგეთის სოციალისტები გავლენას მოახდენენ რუსეთის თანამოაზრეებზე და ომის სრულ გამარჯვებამდე დაბოლოების ლოზუნგს დადებითათ გადასწყვეტენ.

გერმანიის სოციალდემოკრატები და ემიგრანტები.

სტოკჰოლმში წამოსულა გერმანიის სოც.-დემოკრატების ერთი ჯგუფი, რათა ინახულოს რუსეთის ემიგრანტები. გერმანიის სოც.-დემოკრატებმა რუსეთის ამხანაგებს ყველასთვის მისაღები ზავის პირობები გადასცეს. ამ პირობებში სხვათა შორის აღნიშნულია შემდეგი: გერმანიას უნდა შერჩეს ელზას-ლოტარინგია, ბელგია დაიბრუნებს თავისუფლებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჯარს არ იყოლიებს; უნდა შეიქნას დამოუკიდებელი სომხეთი ოსმალეთის პროტექტორიატის ქვეშ და სრუტეების ნეიტრალიზაცია უნდა გამოცხადდეს, თუ ეს სრუტეები ოსმალეთის პროტექტორიატის ქვეშ დარჩება.

ომის შესახებ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭომ დროებითი მთავრობას წინადადება მისცა ომის მიზან-დანიშნულებაზე იმსჯელოს და ამის შესახებ მიღებული რეზოლიუცია საჯაროთ გამოაქვეყნოს. აგრეთვე გამოაქვეყნონ შეთანხმების სახელმწიფოების აზრი ომის შესახებ.

მინისტრების მისვლა სადგომში.

მოგილიევი, 18 მარტი. დროებითი მთავრობის მინისტრთა საბჭო სადგომში მივიდა. მინისტრების მატარებელს დიდის აღტაცებით და მარსელიოზის სიმღერით შეხვდნენ. პირველათ კერენსკიმ მიმართა სიტყვით სადგომში მყოფთ. გადაკოცნა გენერალ ალექსეევი და სთხოვა გადასცეს ფრონტზე მყოფ ჯარს სალამი განთავისუფლებული ხალხის სახელით, ვინაიდან ის დარწმუნებულია, რომ რუსეთის ძლევამოსილი მეომრები შესძლებენ მტრის დაუძლურებას და ხალხთა ძმობისა და თავისუფლების შენარჩუნებას. კერენსკის შემდეგ ილაპარაკეს მილიუკოვმა, შინგარიევმა და ნეკრასოვმა. ყველამ მოუწოდა უმთავრესათ ჯარს დაიცვას სრული მთლიანობა და ხელი შეუწყოს თავისუფლების განმტკიცებას. მინისტრებს ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა.

გაზეთის გამოცემა.

სიმფეროპოლი. 18 მარტი. სიმფეროპოლში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გაზეთი „ერთობა“ გამოსცა. გაზეთის მოწინავე წერილში მუშები მოუწოდებენ ჯარსა და მცხოვრებლებს ორგანიზაციულათ შეკავშირდენ და დროებითი მთავრობას ხელი შეუწყონ, ვინაიდან ამას მოითხოვს სამშობლოს დაცვა და ხსნა გარეშე მტრისაგან.

გერმანიის შესახებ.

რომი. 19 მარტი. „ტრიბუნა“ სწერს: რეიხსტაგში კამათის დროს ბეტმან-ჰოლვეგის განცხადებისაგან ნათლათ სჩანს, რომ კანცლერის მდგომარეობა შერყეულია. ოპოზიცია დღითიდღე ძლიერდება. რეფორმების მოთხოვნა იმდენათ აუცილებელია, რომ კანცლერმა ამას გვერდი ვერ აუხვია და მოითხოვა ამის გადადება საარჩევნო კანონის შესაცვლელათ. რუსეთში მომხდარი რევოლიუცია და მოსალოდნელი ამერიკის ომში ჩარევა, გვიჩვენებს, რომ გერმანია იძულებულია იომოს მსოფლიო დემოკრატიის წინააღმდეგ. მთელი ქვეყნის ხალხი დარწმუნებულია, რომ თავისუფლების გამარჯვება და უზრუნველყოფა შეუძლებელია, სანამ გერმანია იარსებებს დღევანდელი სახით, სანამ არ მოისპობა ავსტრია უნგრეთის და ოსმალეთის მონარქიული სახელმწიფოები, რომელთა არსებობითაც არის გამოწვეული ერთთა თავისუფლების შეზღუდვა. მთელი ქვეყანა ხედავს, რომ უაზრობაა ვილჰელმთან და მის მინისტრ გენერლებთან ლაპარაკი, სანამ ის არ გაითვალისწინებს იმ ტრაგიკულ მდგომარეობას, რომელშიაც გერმანიის მართველმა წრეებმა ის ჩააყენეს.

რესპუბლიკანელ აფიცერთა კავშირი.

პეტროგრადი. 20 მარტი. აფიცრებმა, რომელნიც პირველადვე რევოლიუციონურ ჯარს მიემხრნენ, რესპუბლიკანელ აფიცერთა კავშირი შეადგინეს. კავშირის მიზანია თავისუფლების დაცვა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება. ამის განსახორციელებლათ აუცილებელ საშვალებას წარმოადგენს: ჯარის ორგანიზაცია დემოკრატიულ საფუძველზე და რესპუბლიკანური იდეების გავრცელება ჯარში. ამ კავშირის მოქმედების ასპარეზი იქნება პეტროგრადი, მხოლოდ ფილიალური განყოფილებები ექნება პროვინციებში. კავშირს წარმომადგენელი ეყოლება იმ შემთანხმებელ კომისიაში, რომელიც შესდგა მთავრობისა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შორის.

გლეხთა დეპუტატების კრება.

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის გლეხთა დეპუტატების კრება დაიწყო.

მომრიგებელი კამერები.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭომ ოდესის ფაბრიკა-ქარხნების საზოგადოებასთან მოლაპარაკება გამართეს ყველა წარმოების დარგებში რვა საათის სამუშაო დროის შემოღებისა და „სტაროსტათა“ და მომრიგებელ კამერების შემოღების შესახებ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატების დეპეშა ჩხეიძესთან.

გერმანიის სოციალდემოკრატების ცენტრალურმა კომიტეტმა დანიის მინისტრის საშუალებით კარლო ჩხეიძეს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: კოპენჰაგენში მყოფმა რუსეთის სოციალისტებმა სამშვიდობო წინადადება მოგვცეს, აქვე სხვათა შორის ნათქვამია, რომ ვინც რუსეთის რევოლიუციის განვითარებას ხელს შეუშლის მათ ჩვენ სასტიკ წინააღმდეგობას გავუწევთ. გერმანიის სოციალდემოკრატები რუსეთის სოციალისტების წინადადებებს სრულიათ ვიზიარებთ და ეს რეიხსტაგის კამათის დროს აშკარათ დავამტკიცეთ. სხვა პარტიებმა, აგრეთვე საიმპერიო მთავრობამ კატეგორიულათ განაცხადა, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევიან რუსეთის შინაურ საქმეებში. გერმანიის სოციალდემოკრატია სალამს უძღვნის რუსეთის პროლეტარიატს და იმედოვნებს, რომ რუსეთის ხალხი ზავის ჩამოგდებაში მათ ხელს შეუწყობენ, რომელსაც ისინი ომის დაწყებიდანვე ითხოვდენ.

დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა.

ვიატკის საგუბერნიო ერობის კრებაზე დამსწრეთ დახურული კენჭის ყრით დემოკრატიული რესპუბლიკა მოითხოვეს.

სამარა. 20 მარტი. სტავროპოლის და სამარის მაზრებში ერობის უფროსები, სამსახურს სტოვებენ, მაზრების ადმინისტრატიული საქმეები გადაეცა შესანახათ სამაზრო კრებებს და სამხედრო დაწესებულებებს.

პეტროგრადი. 20 მარტი. მარია თეოდორეს ასულმა მიმართა სახ. დუმის დროებით კომიტეტს, რათა დაუნიშნონ მას კომისარები კიევიდან ინკერმანამდის მისაცილებლად.

მიხეილის საარტილერიო აკადემიის აფიცრებმა პირველ ორგანიზაციონურ კრებაზე დაადგინეს აღფრთოვანებით მიესალმონ დროებითი მთავრობას და იმედს გამოსთქვამენ, რომ თავისუფალი რუსეთი მტერს დაამარცხებს.

სიონისტების მიტინგი.

19 მარტს—ოდესის დრამატიულ თეატრში შესდგა სიონისტების მიტინგი, რომელსაც დაესწრო 2000 კაცი. სიტყვებში აღნიშნული იყო ის, რომ ებრაელების პალესტინაში ტერიტორიის მიცემის პროგრამა უნდა გაირჩეს მომავალ კონფერენციაზე. გამოტანილი იყო მისალმების რეზოლიუცია, რომელშიც ისინი გამოსთქვამდენ, სანამ ებრაელები როგორც მოქალაქეობრივი, აგრეთვე ნაციონალურ უფლებით სხვა ერებთან არ გათანასწორდებიან, არ შეუძლიათ დამშვიდება და აგრეთვე ითხოვენ პალესტინის დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოთ აღიარებას.

ახალი ამბები

ლექცია. დღეს, საღამოს 7 ნახევარ საათზე, სახალხო სახლში ვ. ვანეევი წაიკითხავს ოსურ ენაზე ლექციას დამფუძნებელი კრების შესახებ.

◆ **გაზეთების გაძვირება**. ქაღალდის გაძვირების გამო დღეიდან „კავკაზსკი რაბოჩი“ 5 კ. ნაცვლათ 7 კაპეიკათ ეღირება, ხოლო „კავკაზსკოე სლოვო“ კი 7 კ. მაგიერ 10 კ.

◆ **ჟანდარმების პოლკოვნიკი**. ერევნის აღმასრულებელ კომიტეტს დაუტუსაღებია ერევნის საგუბერნიო ჟანდარმთა სამართველოს უფროსი პოლკოვნიკი ვასილიევი. როგორც გამოირკვა, ვასილიევს დიდძალი საბუთის ქაღალდები მოუსპია რევოლიუციის დაწყების შემდეგ.

◆ **ქალაქის საბჭომ** 20 მარტს, ქალაქის გამგეობის წინადადებით, სახელმწიფო დუმის წევრი და პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე, რომელსაც უაღრესი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის რევოლიუციის წინაშე, ტფილისის საპატიო მოქალაქეთ აარჩია.

◆ **როგორც გადმოგვცეს**, სოფ. ხაშმსა და პატარძეულში გაჩენილან ვიღაც საეჭვო ყოფაქცევის კაცები, რომელნიც ხალხში ყალბ ცნობებს ავრცელებენ და ძველი ანგარიშის გასასწორებლად შურს ძიებენ უპატრონო გლეხებზე.

◆ **ფაბრიკანტების კრება**. ამ დღეებში მოხდება თფილისის ფაბრიკანტების და ქარხნების პატრონთა საზოგადო კრება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

◆ **დამალულ საქონლის აღმოჩენა**. მილიციონერთა უფროსმა კოგანმა და მისმა თანაშემწემ კაჩუხაშვილმა დესიმონოვის ქუჩაზე ს. რეშეტოვის სახლში აღმოაჩინეს 187 შვეიცარიული ყველი, 153 გირ. კარაქი, 11 კასრი ტვაროგი, 10 კასრი სმეტანი, 4 კასრი მაწონი და 1 კასრი ერბო-მოხდილი ყველი.

◆ **რესტორან სასტუმროების** პატრონთა საზოგადოების კრებამ 18 მარტს თავის კრებაზე განმეორებით აირჩია თავის წარმომადგენლად მუშათა საბჭოს ბიუროში ს. გიგიბერია. კანდიდატებად არჩეულ იქმნენ გ. ალიმბარაშვილი და ი. ლებანიძე.

◆ **შეცდომის გასწორება**. „ერთობის“ მე 5 №-ში ქრონიკაში მოხსენებულია გიორგი საბახტარიშვილმა კომიტეტს შესწირა 500 მ. უნდა იყოს: მუშათა საბჭოს შესწირა 500 მ.

◆ **ქართველთა მსროლელ პოლკში**. ძველი მთავრობის დამხობა გავიგეთ სამს მარტს, მაგრამ ათამდე ოფიციალურათ არ დადასტურებულა. 10-ში უკვე ფიცი მივიღეთ ახალ მთავრობისადმი. 13 მარტს გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზედაც მთელი პოლკი დაესწრო. ილაპარაკეს სამმა სალდათმა და 3 აფიცერმა. ყველა სოციალ დემოკრატია. გამოვიტანეთ მისასალმებელი რეზოლიუციები და გაუგზავნეთ პეტროგრადში ახალ მთავრობას და დეპუტატ კარლო ჩხეიძეს. ავირჩიეთ ჯარისკაცთა საბჭო 9 კაცისაგან შემდგარი.

◆ **მერძეობის და მესაქონლეობის კურსები**, რომელიც იყო გამართული კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ხელმძღვანელობით დამთავრდა 16 მარტს. მეცადინეობა გაგრძელდა 32 დღე. მსმენელთა რიცხვი იყო 50 კაცი და ქალი. 16 მარტს მოხდა მათი გამოცდა, რის შემდეგ მსმენელთ დაურიგეს შესაფერისი მოწმობები და სხვადასხვა წიგნები. მსმენელთა რიცხვი იყო: ქართველი—18, სომეხი—12, რუსი—11, პოლონელი 2, ლატიში—2, ოსი—1. ამავე კურსებზე ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომიული ორგანიზაციიდან იყვნენ შემდეგი პირები. ოზურგეთის მაზრ. ვ. შანიძე, ზუგდიდის—ი. ხოფერია, სენაკის—ალ. კალანდარიშვილი, ქუთაისის—ი. კობიაშვილი, შორაპნის—შ. შარვაძე, რაჭის—ილ. რხმალაძე.

დეპეშები.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ვანი. აღფრთოვანებით ვეგებებით ძველი რეჟიმის დამხობას, გისურვებთ მხნეობას და ენერგიას დემოკრატიის ინტერესების დასაცველათ. ადგილობრივი პოლიცია მცხოვრებლების სისხლის მწოველია, 400 პოლიციელზე მთელ საგენერალ გუბერნატოროში ასიათასობით იხარჯება, საჭიროა დაუყონებლივ პოლიცია შეცვლილი იქმნეს მილიციით. მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოების, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტების მოსაწყობათ, აგრეთვე რეაქციის მომხრეების განსადევნათ საჭიროა გამოგზავნილ იქმნას წარმომადგენელნი. აქ შესდგა წრე „სოგორ“-ში მომუშავეთა დემოკრატიის შესაერთებლათ და რეაქციის ჩასაქრობათ, გადავწყვიტეთ: გაეგზავნოს მისალმების დეპეშა ჩხეიძეს და ტფილ. მუშათა დეპუტატების საბჭოს. გაიღება სამკითხველო, საჭიროა გამოიგზავნოს ყოველდღიური გამოცემები და ბროშიურები რუსულ, სომხურ და ქართულ ენაზე ჯარში და მცხოვრებთა შორის გასავრცელებლათ. ვანი „სოგორ“-ში მომუშავეთა კრება.

თოხაძე.

ხ. ჯვარცხმა. აღფრთოვანებით ვეგებებით მრავალტანჯული მშრომელი ხალხის მკვდრეთით აღდგომას. ვულოცავთ მას პოლიტიკური თავისუფლების მოპოებას და მტრებზე ბრწყინვალე გამარჯვებას.

ჯვარცხმის ამხანაგების მონდობილობით მასწავლებელი ხარიტონ მანთიძე.

თელავი. თელავის მუშათა საბჭომ პეტროგრადში იუსტიციის მინისტრს კერენსკის შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: თელავის მუშათა საბჭო დიდის აღფრთოვანებით შეხვდა დეპ. აკაკი ჩხენკელის კომისარათ დანიშვნას, რომელიც ნამდვილი გაბედული დამცველია თავისუფლებისა და მუშათა კლასის ინტერესების.

ონი. მრავალრიცხოვანმა მიტინგმა მისალმების დეპეშა გაუგზავნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსა და დროებითი მთავრობას. აირჩიეს გლეხთა საბჭო.

ოჩემჩირი. შესდგა მუშა-ხელოსანთა და ნოქართა კრება. კრება აღფრთოვანებით შეხვდა დღევანდელ დიდებულ მომენტს და სალამი უძღვნა ახალ მთავრობას და მუშათა საბჭოს.

საჯევახოს მხარე. რევოლიუციონერ გურიის სახელოვან შვილებს—ნოე ჟორდანიას და ისიდორე რამიშვილს და ყველას თავისუფლებისათვის მებრძოლთ უღრმესი აღტაცებული სალამი. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოესწარით თავისუფლების ბრწყინვალე დღეებს; გისურვებთ, რომ სრულიად განხორციელებულიყოს ის უდიდესი მიზანი, რისთვისაც ასეთ თავგამოდებით იბრძვით თქვენ დიდი ხნიდგან საკეთილოთ მუშათა კლასისა.

„მელქისედეკ“ და ამხანაგები.

ლანჩხუთი. ლანჩხუთის მუშები და წვრილი მოხელეები, აგრეთვე რემონტის მუშები გულითად სალამს უძღვნიან თფილისის მუშათა საბჭოს და მის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას და ვისურვებთ რეაქციის სრულ დამარცხებას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას.

რწმუნებული სოლომონ ჯიბუტი.

სოფ. ქულაში. სამშაბათს, დილის ათ საათზე ყველა სკოლების მოსწავლეები მასწავლებლების თანხლებით შეიკრიბენ ჯვარცხმის მინდორზე. სიტყვა წარმოსთქვა მღ. ჩხაიძემ, მუშა ვ. სტურუამ, და ვ. ძიძიგურმა „ვიშნევსკის მეგობარმა“ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია ახალ მთავრობის სახელზე რუსეთის განახლებით აღფრთოვანებული სოფ. ქულაშის საზოგადოების ყველა მოსწავლე და მასწავლებელთა ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის დროებითი მთავრობას, სახელოვან ჯარს და უსურვებს მტერზე სრულ გამარჯვებას.

ამიერ კავკ. აღმასრულებელ კომიტ. წარმომადგ. ყრილობა.

ყრილობა შესდგა 18 მარტს, საღამოს 9 საათზე ყოფილ მეფის მოადგილის სასახლის „თეთრ“ დარბაზში. დაესწრო 160-მდე წარმომადგენელი, ყრილობას დაესწრნენ სახელმწიფო დუმის კომისარები. სხდომა გახსნა ხატისოვმა და წინადადება მისცა კრებას ფეხზე ადგომით და ტაშისცემით მისალმებოდნენ კომისარებს, რაც შესრულებულ იქმნა. ხატისოვმა მოკლეთ გააცნო კრებას თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობის, მისი მოქმედებისა და აგრეთვე ყრილობის მიზნის შესახებ და წინადადება მისცა კრებას აერჩიათ პრეზიდიუმი. ევგენი გეგეჭკორის წინადადებით პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ თფილისის კომისარები: ნოე ჟორდანია, პოპოვი, ა. ხატისოვი და ბაქოს წარმომადგენელი ალიმარდან ბეკ თოფჩიბაშევი.

პაპაჯანოვი მიესალმა ყრილობას და უსურვა მას დადებითი მუშაობა. მან მოკლეთ გააცნო ყრილობას პეტროგრადის ამბები, ხაზი გაუსვა რუსეთის ხალხის პოლიტიკურ მომწიფებას, აღნიშნა რომ რევოლიუციის დროს ადგილი არ ქონია ხალხის მხრით არავითარ ექსცესებს, რაც თავდებია იმისი, რომ მოპოებულ თავისუფლებას ხალხი ღირსეულათ მოიხმარსო. მან მოუწოდა კრებას სოლიდარული მუშაობისკენ. აი ამ დარბაზშიო, სთქვა მან, ძველი მთავრობის სულის ჩამდგმელნი აწყობდენ ნაციონალურ შეტაკებას, რათა თავისი საკუთარი პოზიცია მოემაგრებინათო. დღეს კი აქ ვხედავთ თავისუფალ მოქალაქეთ და იმედს გამოვსთქვამ, რომ ყველას სასურველათ მიაჩნია თანხმობითი მუშაობა განსაკუთრებით ნაციონალურ საკითხშიო.

მოხსენება წაიკითხა ხატისოვმა ამიერ კავკასიაში მართვა-გამგეობის მოწყობის შესახებ. მისი აზრით უმაღლესი გამგებლობა მხარისა ეხლა სახელმწიფო დუმის კომისარიატის ხელშია. ის ფიქრობს, რომ თბილისის კომიტეტს მიეკუთვნება რამდენიმეთ ამიერ კავკასიის გამგებლობის ფუნქცია, ვინაიდან ის ცენტრალური ინფორმაციული პუნქტია მხარისა.

ფ. მახარაძის აზრით, ვინაიდან კითხვა მხარის მოწყობას შეეხება, საჭიროა ვიცოდეთ რას ფიქრობენ პროვინციაში. ამისთვის კი აუცილებელია ჯერ მოვისმინოთ მოხსენებები ადგილებიდან. რაც შეეხება ამიერ კავკასიის გამგეობას, ეს სახელმწიფო დუმის კომისარიატმა უნდა იკისროს, თფილისის კომიტეტი კი თავის გუბერნიის ფარგლებში დარჩესო.

შიშჩენკო მოითხოვს გააცნონ თუ რას ფიქრობს თვით სახ. დუმის კომისარიატი.

პაპაჯანოვი აცხადებს, რომ კომისარიატი ფართე უფლებებით არის აღჭურვილიო.

ე. გეგეჭკორი წესრიგისათვის ამბობს, რომ ჯერ მოვისმინოთ მოხსენებებიო, რაზედაც კრება დასთანხმდა. შეუდგენ მოხსენებას. მოხსენებები ძლიერ გაჭიანურდა და კრება იძულებული შეიქნა უარეყო თავისი დადგენილება მოხსენების შესახებ. ამის შემდეგ მოხსენება გააკეთა **სერგო ჯაფარიძემ** მართვა-გამგეობის მოწყობის შესახებ, რაც მოკლეთ გამოიხატება შემდეგში: საჭიროა მართვა-გამგეობის ორგანიზაცია მოეწყოს ძირიდან. ძირითად ორგანიზაციათ ჩაითვალოს სოფელი; სოფლის წარმომადგენლები ერთდებიან რაიონის ერთეულებში; რაიონის ერთეულები მაზრის, მაზრების საგუბერნიო ერთეულებში და და სხვ. თვით სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებს ეყოლება თავის საკუთარი კომიტეტები, რომლებიც დაექვემდებარებიან საერთო საგუბერნიო კომიტეტს. არჩევნები ხდებოდეს ოთხფორმულიანი სისტემით. ს. ჯაფარიძის მოხსენებით დასრულდა პირველი კრება.

19 თებერვლის სხდომა.

სხდომა გაიხსნა ნაშუადღევის 2 საათზე. ყრილობამ პირველათ მოისმინა შახატუნის მოხსენება ამიერ კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარის ადმინისტრატიული მოწყობის შესახებ. ის საერთოთ ღებულობს ს. ჯაფარიძის წინადადებას და უმატებს, რომ საჭიროა ამ მხარეში მოხდეს ადმინისტრატიული გადამიჯვნა ნაციონალური შემადგენლობის მიხედვით.

თ. ხუმბათაშვილი წინააღმდეგია ადმინისტრატიული გადამიჯვნისა. ის ამბობს, რომ ბორჩალოს მაზრაში, სადაც სხვა და სხვა ერები ცხოვრობენ, საჭიროება არ მოითხოვ ასეთ გადამიჯვნას.

მალხაზოვი იმ აზრისაა, რომ ჯერ-ჯერობით არსებული ზევიდან მოწყობილი კომიტეტებით დავკმაყოფილდეთ, რადგანაც არჩევნები დღეს მოუხერხებელიაო.

ალ. მესხიშვილი იზიარებს სერგო ჯაფარიძის მოხსენებას მხარეში ადმინისტრატიული ორგანოების მოწყობის შესახებ, მხოლოდ წინააღმდეგია ხატისოვის წინადადებისა, რომელიც თფილისის კომიტეტს რამოდენიმეთ ცენტრის უფლებას ანიჭებს,

ს. არუთინოვი უდროულათ სთვლის სოფელში საყოველთაო საარჩევნო წესების განხორციელებას, ვინაიდან ჩვენი ქალები განსაკუთრებით თათრების და სომხების კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ. ის კმაყოფილდება არსებული კომიტეტებით.

შიშჩენკო იმ აზრისაა, რომ ჯერ სახელმწიფო დუმის კომისარიატმა გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება, შემდეგ შეგვეძლება ვილაპარაკოთ მხარის ადმინისტრატიული მოწყობის შესახებ.

დანიელ-ბეგი ემხრობა ხატისოვის ფორმულას, მარა მას აშინებს ის გარემოება, რომ თფილისი არის ადგილი ნაციონალური შუღლისა, რომ თფილისმა პირველმა მისცა მაგალითი ჩვენს რევოლიუციონურ ჯარში განხეთქილების შეტანისა, რაც რევოლიუციის საქმის ღალატათ მიაჩნია, ამისათვის ის ვერ მიემხრობა ცენტრი მარტო თბილისში არსებულმა ძალებმა მოაწყონ.

ჯამალინი საჭიროთ სცნობს ისეთი დებულების გამონახვას, რაც შეათანხმებს სხვა და სხვა ეროვნების მცხოვრებთ. მას ამისთვის საჭიროთ მიაჩნია ეროვნების და მიხედვით ადმინისტრატიული გადამიჯვნა.

მდივანის აზრით არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ ამიერ კავკასიის გამგებლობა თბილისის კომიტეტს გადაეცეს; და არც საჭიროა ასეთი ცენტრი, ვინაიდან მაგის როლს თვით სახ. დუმის კომისარიატი შეასრულებსო. ის საჭიროთ სცნობს მიწის საკითხის მოწესრიგებას.

ბარათაშვილი მომხრეა საყოველთაო არჩევნების სისტემით ადმინისტრატიულ ორგანოების არჩევისა; ცენტრისთვის კი მას საჭიროთ მიაჩნია ყოველივე გუბერნიამ თავისი წარმომადგენლები გამოგზავნოს და თფილისის კომიტეტთან ერთად შესდგეს ამიერ კავკასიის ცენტრიო.

ე. გეგეჭკორი. საჭიროა არა მარტო მიწის საქმის მოწესრიგება, როგორც ეს ზოგიერთმა ორატორებმა აღნიშნეს, არამედ საჭიროა მთელი რევოლიუციონური ძალების მობილიზაცია. ამისთვის კი საჭიროა მოეწყოს გლეხთა ორგანიზაციები, როგორც ჩვენში ისე რუსეთში. სანამ ეს არ მოეწყობა, უნდა დარჩეს არსებული ზევიდან დანიშნული კომიტეტები. რაც შეეხება თფილისის კომიტეტს, უნდა ვაღიაროთ, რომ მას ძალაუნებურათ მოუხდება ითამაშოს ცენტრის როლი. კომისარიატი ეხლავე უნდა დაეყრდნოს რაღაცაზე და ეს რაღაცა თფილისის კომიტეტი იქნება. ის არ ეთანხმება ხატისოვის ფორმულას და საჭიროთ სცნობს მასში იმ კორექტივის შეტანას, რომელიც ბარათაშვილმა აღნიშნა, ე. ი. საჭიროა ის შევსებულ იქნას გუბერნიების წარმომადგენლებით.

კრებაზე თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ: ერთნი მომხრე იყვნენ ეხლავე შესდგომოდენ არჩევნებს ს. ჯაფარიძის მოხსენების თანახმათ, მეორენი კი ამას ნაადრევათ სცნობდენ. ვინაიდან მრავალი ორატორები იყო ჩაწერილი, გადაწყდა ელაპარაკა თვითეული მიმდინარეობიდან სამსამ კაცს.

ლომთათიძე სავსებით იზიარებს ს. ჯაფარიძის ფორმულას, ანვითარებს მას და დასძენს, რომ ზოგიერთებს აშინებს საყოველთაო საარჩევნო უფლების ცხოვრებაში გატარება, ეს შიში უსაფუძვლოა. ჩვენ უნდა მოვამზადოთ ხალხი დამფუძნებელ კრებისათვის; ამისთვის კი ეხლანდელი არჩევნები საუცხოვო გაკვეთილი იქნება. სანამ არჩევნები დამთავრდებოდეს არსებული კომიტეტები დარჩება. რაც შეეხება ადმინისტრატიულ გადამიჯვნას, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ წვრილ ერთეულებში თანახმათ მცხოვრებთა სურვილისა.

ოგანჯანოვი ეთანხმება ორატორს და ხაზს უსვამს ადმინისტრატიულ გადამიჯვნის საჭიროებას.

ნოე რამიშვილი. რევოლიუცია ისე უეცრათ მოხდა, რომ ზოგიერთ ადგილას მართვა-გამგეობა შემთხვევითი პირების ხელში ჩავარდა. ეს შეცდომა ეხლავე უნდა გამოსწორდეს და არჩევნები დემოკრატიულ საფუძველზე მოხდეს. ეს საქმეს გაუადვილებს მომავალ დამფუძნებელ კრებას, რომელსაც მრავალ შემთხვევაში საქმე ექნება კანონიერათ არჩეულ მართვა-გამგეობასთან, რომლებსაც მხოლოდ დამფუძნებელ კრების სანქცია დასჭირდება. რაც შეეხება გადამიჯვნას ნაციონალური შემადგენლობის მიხედვით, ის ამას საჭიროთ სცნობს, მხოლოდ წვრილ ერთეულებში, და

არას გზით არ უნდა შეეხოს სამაზრო და საგუბერნიო ერთეულებს.

შახტახტინსკი აცხადებს, რომ ის წინააღმდეგია ადმინისტრატიული გადამიჯვნისა, ვინაიდან ამას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს. სომეხ-მუსულმანები სოფლებში თანხმობით სცხოვრობენ. რაც შეეხება 1905 წლის სისხლის ღვრას—უნდა ვაღიაროთ, რომ მასში ბრალი ედო არა თუ ძველ მთავრობას, არამედ სომხის და თათრის ნაციონალისტებსაც.

შაუმიანიც იცავს ჯაფარიძის დებულებას. მისი აზრით დანარჩენი ძალები ასე თუ ისე შეკავშირებულია რევოლიუციის სასარგებლოთ. ეხლა საჭიროა გლეხობის შეკავშირებაცო.

კამათი დასრულდა და მიღებულ იქნა შემდეგი: ეხლავე შეუდგენ ადმინისტრატიულ ორგანოების რეორგანიზაციას საყოველთაო საარჩევნო სისტემით. სანამ არჩევნები დასრულდებოდეს და ახალი კომიტეტები მოეწყობოდეს ძალაში რჩება არსებული კომიტეტები. ადმინისტრატიულ ორგანოთა სქემა შემდეგია: სოფლები ირჩევენ თავის წარმომადგენლებს, რომლებიც თავს იყრიან რაიონულ ერთეულში, რაიონის წარმომადგენლები სამაზროში, სამაზრო საგუბერნიოში. პარალელურათ არსებობს სამაზრო და საგუბერნიო ქალაქების კომიტეტები, რომლებიც ყველგან ექვემდებარებიან საგუბერნიო კომიტეტს, გარდა თფილისისა და ბაქოსა, რომელთა საქალაქო კომიტეტები, როგორც მსხვილი ცენტრები დამოუკიდებლად განაგებენ თავიანთ საქმეებს.

ყველა ქალაქებში მოხდეს რეორგანიზაცია საქალაქო კომიტეტისა თფილისის კომიტეტის მიხედვით, სადაც განხორციელებულია რევოლიუციის მთავარ მამოძრავებელ ძალთა, მუშების, ჯარის და პროგრესიულ ბურჟუაზიის კოორდინაცია თანასწორობის პრინციპზე, ესენი კი იწვევენ პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ადმინისტრატიული მოხელეების არჩევა და დანიშვნა ენდობა კომიტეტებს, მხოლოდ სახელმწიფო დუმის კომისარიატს უფლება ეძლევა „ვეტო“-სი ე.ი. დამტკიცება—არ დამტკიცებისა. ამ ნიადაგზე მოხდა მცირედი კამათი. კრებაზე გამოითქვა აზრი, რომ მოხელეების დანიშვნა კომიტეტების ხელში იყოს, რაც შეეხება კომისარიატს მას მხოლოდ ეცნობოსო.

ჯაფაროვმა განაცხადა, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ჩვენს უფლებას ვერავის დაუთმობთ, ვინაიდან ზოგიერთ ბნელ ადგილებში მოსალოდნელია ძველი რეჟიმის მომხრეები აირჩიონ და ჩვენ უფლება უნდა გვქონდეს დამტკიცება—არ დამტკიცებისო.

პაპაჯანოვიც ადასტურებს ამ შეხედულებას.

ნოე ჟორდანია. მე იმ აზრის ვარ, რომ პოლიცია ადგილობრივ თვითმართველობას ექვემდებარებოდეს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ დღეს რევოლიუციონურ ხანაში ვსცხოვრობთ, როცა თვით რევოლიუციის დასამთავრებლათ საჭიროა რევოლიუცია ზოგან ზევიდან ჩატარდესო. ჩემი ამხანაგები, რომლებიც მოითხოვენ ყველგან ძირიდან მოხდეს რევოლიუციის ჩატარება, ალბათ იმით ხელმძღვანელობენ, რომ სახ. დუმის კომისარიატი თავის შემადგენლობით ნაკლებათ რევოლიუციონურია. ეს მართალი, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ზოგიერთი ადგილეიში კომიტეტები გაცილებით ნაკლებ რევოლიუციონურია ვინემ კომისარიატი და ამისათვის საჭიროთ სცნობს თვით რევოლიუციის მიზნისათვის დაშვებულ იქნას კომპრომისი და კომისარიატს მიეცეს „ვეტო“-ს უფლება.

პაპოვი ეთანხმება ჟორდანიას, მაგრამ მას ვერ გაუგია ჯაფაროვის განცხადება ჩვენს უფლებას ვერავის დავუთმობთო. თუ ასეა ნება გვიბოძეთ უპასუხოთ მათ, რომ ვერც ჩვენ დავუთმობთ ვინმეს ჩვენს უფლებას. ის საჭიროთ სცნობს შეთანხმებით მუშაობას.

ხარლამოვი კომისარიატის სახელით აცხადებს, რომ არავის ფიქრათ არ აქვს უფლების უზურპაცია. ჩვენ მუდამ ადგილობრივ ძალებთან შეთანხმებით ვიმუშავებთო. ამასვე იმეორებს ჯაფაროვიც. კამათი დასრულდა. მოხელეთა დანიშვნა კომიტეტების საქმე იქნება, ხოლო დამტკიცება—არ დამტკიცების უფლება რჩება კომისარიატს. კვლავ წარმოსდგა კითხვა ამიერ-კავკასიის მუდმივ ცენტრის შესახებ.

ხარლამოვი მოითხოვს მუდმივ ცენტრის დაარსებას. ის საჭიროთ სცნობს დროებით ასეთ ცენტრათ თფილისის კომიტეტი იქნას ცნობილი. მცირე კამათის შემდეგ დაადგინეს შედგეს ამიერ-კავკასიის მუდმივი ცენტრალური გამგეობა შემდეგ პრინციპზე: ცენტრში შევა 38 წარმომადგენელი: 5 მუშათა დეპუტატებისგან, 5 ჯარისკაცებისგან, სამსამი ბაქო და თფილისისგან, ორორი საგუბერნიო ცენტრებიდან, გარდა ბაქოსი და თფილისისა, რომელთაც ოთხოთხი წარმომადგენელი ეყოლება, თითო სოხუმისა და ზაქათალის ოლქებიდან.

სერგო ჯაფარიძე აცხადებს, რომ მარტო ადმინისტრატიული ორგანოების მოწყობა საკმარისი არ არის, საჭიროა სასამართლოს მოხელეების დაცვლაცო. მაგრამ სანამ ეს დაცვლა არ მოხდება, სასურველია არსებულმა სასამართლოებმა განაგრძონ მოქმედება, ვინაიდან სასამართლოს სრულიათ არ ყოფნას ისევ არსებულის ყოფნა სჯობიაო. ყრილობამ მოიწონა ჯაფარიძის განცხადება.

ნოე ჟორდანიამ გააკეთა მოხსენება, თანამედროვე მომენტზე და ტაქტიკაზე. მან მოკლეთ შემდეგი სთქვა: თქვენ აქ გამოიმუშავეთ სქემა ორგანიზაციისა; ეს არის ჩონჩხი, რომელსაც უნდა შეესხას ხორცი და ჩაებეროს სული, ჩასდოთ შიგ რევოლიუციონური შინაარსი. საკითხია, თუ რა გვარ ტაქტიკას უნდა ვადგეთ ამ მომენტში. ამისრვის კი საჭიროა ვიცოდეთ თუ რა გვარი მომენტია დღეს. თქვენ იცით, თუ რა ძალებმა მოახდინეს რევოლიუცია. სამია მთავარი ძალა რევოლიუციისა: მუშათა კლასი, რევოლიუციონური არმია და პროგრესიული ბურჟუაზია. არმია შესდგება პროლეტართა და გლეხთა შვილებისაგან—ეს ჯარისკაცებია. მაგრამ არის არმიაში აფიცრობა, რომლებიც უფრო მეტათ ბურჟუაზიის შვილებია, მთავარი როლი მუშებს ეკუთვნის, მაგრამ საგრძნობი როლი ითამაშა ბურჟუაზიამაც სახელმწიფო დუმის სახით. რომ დუმას არ ეთამაშა ეს როლი, მაშინ რევოლიუციის საქმე გაძნელდებოდა და ყველა კუთხეში აჯანყება იქნებოდა საჭირო. შევადაროთ 1905 და დღევანდელი დღე. მაშინ მარტო მუშები ხელმძღვანელობდენ რევოლიუციას, ბურჟუაზია კი მათ კუდში მისდევდა. დღეს კი მდგომარეობა შეცვლილია. მომხდარია ძალთა კოორდინაცია და აღსანიშნავია თან ის, რომ ბურჟუაზია იმასვე აყენებს თავის ლოზუნგათ, რასაც პროლეტარიატი ე. ი. დემოკრატიულ რესპუბლ., რევოლიუციის დასაგვირგვინებლათ საჭიროა ამ ერთობის შენარჩუნება განსაკუთრებულ მომენტამდე, როგორ უნდა მოხდეს ეს? თქვენ იცით, რომ მუშებს თავისი კლასიური მოთხოვნილება აწუხებს. ყველამ იცით, რომ მარტო პოლიტიკით ცხოვრება არ შეიძლება. მუშები მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღეს და ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებას. პეტროგრადში უკვე მოიგეს 8 საათის სამუშაო დღე. მაგრამ მოიგეს არა ბრძოლით, არამედ მორიგებით. მუშებს ძალით შეეძლოთ ამის განცხორციელება. საიდუმლო აღარავისთვის აღარ არის, რომ ისინი დღეს რეალურ ძალას წარმოადგენენ, რომელსაც უფრო მეტიც შეუძლია ვინემ 8 საათის სამუშარ დღის მოპოება. ამას ის არ შვრება, რადგანც დაინტერესებულია ძალთა ერთობის შენარჩუნებაში განსაზღვრულ მომენტამდე. ასევე უნდა ვთქვათ გლეხებზედაც. საჭიროა მათ ანგარიში გაეწიოს. მაგალითად ისინი დაინტერესებულია ლალის შემცირებაში, საძოვრებით სარგებლობაში და ეს უნდა მოხდეს ჯერჯერობით შეთანხმებით, ხოლო კითხვის რადიკალური გადაჭრა დამფუძნებელ კრებას მიენდოს. ასევე ითქმის ნაციონალურ საკითხზეც. მისი ეხლავე პრაქტიკულათ წამოყენება საზარალოა. თეორიული მსჯელობა ნაციონალურ კითხვაზე რასაკვირველია არავითარ ზარალს არ მოიტანს, სულ სხვაა რაიმე ლოზუნგის წამოყენება და ნაბიჯების გადადგმა. ეს დღესდღეობით არ უნდა მოხდეს, რადგანაც ერთი რომელიმე ნაციის ნაბიჯი გამოიწვევს მეორე ნაციის წინააღმდეგობას. ამისათვის საჭიროა ყველა ნაციის წარმომადგენლები შეთანხმდნენ ნაციონალურ საკითხში და შეთანხმებით წამოაყენონ მისი გადაჭრა დამფუძნებელ კრებაზე.

მეხიშვილი საჭიროთ სცნობს მიწის საკითხის დღესვე წამოყენებას, ის არ ეთანხმება ჟორდანიას რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა დაფასებაში. ასეთ ძალებათ ის მხოლოდ მუშებს და გლეხებს სცნობს.

დიმ. ჭიაბერაშვილი („საქართველოს“ ჯგუფი) მომხრეა დღესვე წამოყენებულ იქნას საკითხი მიწის კონფისკაციის შესახებ.

გ. ნათაძე სოციალისტ-რევოლიუციონერების სახელით სავსებით იზიარებს ჟორდანიას შეხედულებას და ამბობს, რომ ჩვენ სოციალ-დემოკრატ მენშევიკების ტაქტიკას სავსებით ვეთანხმებით ამ მომენტშიო. მცირე კამათის შემდეგ, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს ალ. ლომთათიძემ, ბარათაშვილმა და ჯამალიანმა, რომელმაც დაშნაკცაკანების სახელით სავსებით გაიზიარა ჟორდანიას დებულება, კრებამ დიდის ხმის უმეტესობით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტთა თათბირი მიზნათ ისახავს დროებით რევოლიუციონური მთავრობის მხარის დაჭერას რეაქციასთან ბრძოლაში და რევოლიუციის ვიდრე დემოკრატიულ რესპუბლიკამდის მიყვანამდე.

ამ სახით თათბირი მხარს უჭერს რევოლიუციონურ პროლეტარიატს, არმიას და საზოგადოების სხვა ნაწილებს, რომლებიც მიილტვიან ამ ძირითად პოლიტიკურ მიზნისაკენ. აქედან გამომდინარეობს მომენტის ტაქტიკა: მოძრაობაში ერთობის შესანარჩუნებლათ ყველა ამ სოციალურ ნაწილებისა და **კლასებისა** საჭიროა: ყველა ის აუცილებელი ეკონომიური, კლასიური, ნაციონალური და სხვა მოთხოვნილებანი, რომლის გადადება არ შეიძლება, როგორც მაგალითად: სამუშაო დროს შემცირება, ხელფასის მომატება, საძოვრებით და ტყით სარგებლობა, მის მსგავსი, აგრეთვე კომისარების დანიშვნა ეროვნების და მიხედვით, ნაციონალური შკოლებისა და ეკლესიების დაარსება და მსგავსი კითხვები, რომლებსაც ცხოვრების აუცილებლობა გვიკარნახებს, უნდა გადიჭრას დამფუძნებელ კრებამდე დაინტერესებულ პირთა შეთანხმებით, შემარიგებელი კამერების და ურთიერთ შორის დათმობით.

რადიკალურათ გადაჭრა კითხვებისა: მუშათა, გლეხთა, ნაციონალურისა და ეკლესიისა უნდა მიენდოს დამფუძნებელ კრებას, რომლის საარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკური პარტიები გამოდიან თავის პროგრამულ მოთხოვნილებით და თავის საკუთარი დროშით.

რევოლუცია სოფლად.

თავისუფლების დღესასწაული ქ. ბაქოში. მოხთა ის, რაც უნდა მომხთარიყო. ტახტი ტანჯვისა და მონობისა მტვრათ იქცა. ძალმომრეობაზე და ხიშტ თოფ ზარბაზნებზე დაყრდნობილი თვითმპყრობელობა მუშათა მაზოლიანი ხელის ერთი მოსმით მიწასთან გასწორდა და ის მილიონ ტანჯულთა გულის სიღრმიდან აღმოხეთქილი სიხარულის ხმა ქვეყნის კიდიდან-კიდამდე გახმაურდა. დაეცა ობსოლიუტიზმი, დაეცა ძველი რეჟიმი და მის ნანგრევებზე რუსეთის მუშათა დემოკრატია ახალი ცხოვრების შენებას შეუდგა. და აი ეს განთავისუფლების დღე დიდის აღტაცებით იდღესასწაულა 12 მარტს ბაქოელებმა. სადღესასწაულო ალაგათ დანიშნული იყო ბირჟის მოედანი, სადაც დილიდანვე ბაქოს სამრეწველო რაიონებიდან და ახლო ადგილებიდან აუარებელმა ხალხმა იწყო დენა. საამო გაზაფხულის დღე საუცხოვო ელფერს აძლევდა ამ სასიქადულო დღესასწაულს. ყველა სახლები და შენობები წითელი ბაირაღებით და დროშებით იყო მორთული. ყველას სახე უბრწყინავდა. ერთი მეორეს თავისუფლებას ულოცავდენ. დიახ, ეს იყო დღე ტანჯულთა მკვდრეთით აღდგომისა... საათის 12-ზე ქუჩებში და მოედანზე აუარებელი ხალხი მოგროვდა. რიგ-რიგ ჩამწკრივებულნი რევოლიუციონურ სიმღერებით და სამხედრო მუსიკით ძველ რეჟიმზე გამარჯვებას დღესასწავლობდენ. ცის კამარაში სამხედრო ჰაეროპლანები წითელი დროშებით, შეუპოვრათ დანავარდობდენ, თითქოს დედამიწაზე არსებული სიმხიარულე სურდათ ზეცისთვის განაწილებიათ. ხალხით სავსეა აგრეთვე სახლების სახურავები და ბალკონები. ყველგან სიმხიარულე, ყველგან სიცოცხლე სუფევს. საუცხოვო წესრიგი, ერთი მეორისადმი თავაზიანობა. არ ისმის ძველი რეჟიმის გამოძახილი: „ოსადის ნაზად, კუდა ლეზეშ“, არამედ თქვენს ყურთა სმენას ატკბობს სიტყვები: „ამხანაგო“, „მოქალაქევ“ და სხვა. მოვლენის გადახდის შემდეგ ტრიბუნაზე ადის მუშათა დეპუტატთა თავმჯდომარე შაუმიანი, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ქალაქის თავი ბიჩი და ბაქოს გარნიზონის უფროსი გენერალი სოკოლოვსკი, რომლებიც დღევანდელ მომენტის შესაფერ სიტყვებს ამბობენ,

გენერალმა სოკოლოვსკიმ შემდეგი სიტყვით მიმართა ჯარისკაცთ და მოქალაქეთ:

„მოქალაქენო! 1825 წ. მხედრობამ სცადა ძველი წესწყობილების განახლება. მოძრაობას სათავეში მაშინ ფლოტისა და არმიის ოფიცრობა იდგა, რაც მათი სრული დამარცხებით დამთვრდა, რადგან მაშინ მოქმედობდა, მხოლოდ ჯარი, ხალხი კი სდუმდა. 1905 წ. მუშებმა მოიკრიბეს რაინდული ძალა და შეებრძოლენ თვითმპყრობელობას, მაგრამ მუშებიც დამარცხდა, რადგან როცა მუშები ამხედრდენ, ჯარი სდუმდა. დღეს კი სულ სხვა სურათს ვხედავთ. მუშები და ჯარისკაცნი ერთათ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ამხედრდენ არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ, რაც მათი სრული გამარჯვებით დამთავრდა და რასაც დიდის თანაგრძნობით ვეგებებით. გენერლის სიტყვას აღტაცებით მიეგება საზოგადოება. შემდეგ რიგ-რიგათ მწყობრათ გაიარა უმთავრეს ქუჩებზე რევოლიუციონურ სიმღერით და სამხედრო მუსიკით ჯარმა, მოსწავლეებმა, სხვადასხვა დაწესებულების მოსამსახურეებმა და ნავთ სამრეწველო და სხვა დარგის მუშებმა. ყველას თავიანთ წითელი დროშის ქვეშ მოეყარათ თავი, რომელთაც შესაფერი ზედ წარწერები ამშვენებდენ. ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე ჯარის კაცთა დროშების ზედწარწერები: „დემოკრატიული რესპუბლიკა“, „მიწა და თავისუფლება“, „დამფუძნებელი კრება“ და სხვა. მანიფესტაციამ თითქმის მთელი დღე გასტანა და საღამოს მშვიდობიანათ დაიშალა.

იმავე დღეს შემდეგ შემთხვევას ქონდა ალაგი: ბაილოვის და შემახინკის ცენტრალურ ციხეებიდან გაიქცა 700-მდე ტუსაღი (კატორღელები), ბევრი მათგანი უკვე შეიპყრეს, ბევრნიც იმავე დღესვე დაბრუნდენ სატუსაღოში და განაცხადეს, რომ ჩაის დასალევათ ვიყავით და ისევ გიახელით სასჯელის მოსახდელათო. როგორც გამოძიებამ გამოარკვია ეს ძველი რეჟიმიდან დარჩენილი ციხის ნადზირატელების მოხერხება ყოფილა, რომლებიც უკვე დააპატიმრეს, ბაქოს პოლიციის უფროსი ლეონტოვიჩი წინადადებას აძლევს გაქცეულებს გამოცხადდენ 17 მარტამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვინც არ გამოცხადდება და დაჭერილ იქნება, მოხდილი სასჯელი არ ჩაეთვლება, არამედ ძველი სასჯელის მოხთა ისევ თავიდან მოუხთებათო.

„შუქი“.

ხ. მეტეხი (გორის მაზრა). 8 მარტს, სოფ. მეტეხში გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო ექვსი სოფლის გლეხკაცობა. ყველას ეტყობა იმედი და მხიარულობა. პირველათ აუხსნეს ხალხს რუსეთში მომხდარი ცვლილება, ძველი წყობილების დანგრევა. შემდეგ დროებითი მთავრობის შედგენა და მისი მნიშვნელობა. თუ რათ ეწოდება მას დროებითი და რა მოვალეობა დააკისრა მას ხალხმა, აგრეთვე დამფუძნებელ კრების მოწვევის აუცილებელი საჭიროება და მისი როლი ახალ წყობილების დამყარების საქმეში. ხალხის გასამხნევებლად და ყოველივე შიშის გასაფანტავათ ნ. კ—მა აუხსნა ხალხს, რომ ცხრაას ხუთი წლის მოძრაობის შედარება დღევანდელ რევოლიუციასთან შეუძლებელია, რადგან მაშინ ძველი მთავრობა ისევ თავის ადგილზე დარჩა და ჯარი და სახელმწიფო ძალაც მის ხელში იყო, დღეს კი გამარჯვება სრულია, რადგან ჯარი როგორც ხალხის შვილი მას შეუერთა ძველ რეჟიმთან ბრძოლაში და ამ შეერთებულმა ძალამ საბოლოოდ დაასამარა ძველი მთავრობა. ყველა ორატორი მოუწოდებს დამსწრეთ გონიერ, წესიერ და დინჯი მუშაობისაკენ; ჰგმობენ ყოველგვარ ძალადობას და ძალით საკუთრების მითვისებას. კრებამ დაადგინა: მისალმების დეპეშა გაეგზავნოს დეპუტატ ჩხეიძეს, და აგრეთვე დროებითი მთავრობას და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

შემდეგ არჩეულ იქმნა ადგილობრივი დროებითი მთავრობა და აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ხელში გადავიდა ადგილობრივი მართვა-გამგეობა და წესიერების და მშვიდობიანობის დაცვა. კომიტეტში შვიდი კაცია არჩეული, ყველა ახალი წყობილების მომხრეა. თავმჯდომარეთ გიგო მალალაშვილი აირჩიეს, რომელიც ცხრაას ხუთში ცნობილია როგორც ხალხის მომხრე პირი. მიღებულია ზომები კონტრ-რევოლიუციონერების ასალაგმავათ. ზოგი დაატყვევეს და გორში გაგზავნეს, მაგრამ ისინი გორის ალ. კომიტეტმა გაანთავისუფლა დროებით, რაც დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. გორის კომიტეტმა დაადგინა რაიონის ადმინისტრაციის გაუქმება და იარაღის აყრა, რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი. ბოქაულ სტრაჟნიკების იარაღის აყრამ არა სასიამოვნო ინციდენტი გამოიწვია. ახალქალაქში მდგომ ჯარის უფროს გენერალმა ინიციატორებს აყრილი იარაღის უკანვე დაბრუნება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებით ემუქრებოდა. მაგრამ როდესაც ალ. კომიტეტის დადგენილება ნახა ბოდიშისმოხდით წავიდა. ეს სულ ახალქალაქელთა რამდენიმე პირის წყალობით მოხდა, რომელთაც ისე აუხსნეს ჯარის უფროსს, რომ ვითომ იარაღი ყაჩაღურათ ყოფილიყო გატაცებული... გ—ი.

სარევოლუციო დღესასწაულები ზემო-ქართლში. დ. ხაშური, რომელიც დიდი ხნიდგან ქართლის დედა-ბოძათ არის ცნობილი, ყოველთვის რევოლიუციონურის სულით იყო ხოლმე გაჟღენთილი, თავის წვლილი სახალხო მოძრაობაში შექონდა და თავისუფლების დროშაც ყოველთვის ამაყათ ეჭირა ხელში. აი, დღესაც, ამ უმაგალითო აღფრთოვანების დროს მთელ ქართლში პირველად ხაშურმა იდღესასწაულა ახალი რუსეთის გამარჯვება. პირველად ხაშურმა მისცა სიგნალი ქართლის სოფლებს სადღესასწაულო ფერხულში ჩაბმისა.

ძველის მთავრობის დამხობამ და ახალის შედგენამ ხალხში განუსაზღვრელი ზეიმი გამოიწვია. ტვირთ-მძიმეთა ბანაკში თავისუფლების ზარმა ჩამოკრა. ბორკილებ ახსნილმა ქართლის მოქალაქეებმა 9 მარტს დ. ხაშურში დიდი საზეიმო მიტინგი გამართეს. მიტინგის მოწვევა და ინიციატივა-კი ადგილობრივმა სოც. დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციამ იკისრა.

თორმეტი წლის ტანჯვის შემდეგ ქართველებმა მეორედ იდღესასწაულეს თავისუფლების დღე და ყველა დიდი თუ პატარა განურჩევლად ეროვნებისა აღტაცებით შეყურებდა მუშების მიერ შექმნილ ტრიბუნას და მზათ იყო მოესმინა ახალი სიტყვა. მიტინგი გაიმართა ადგილობრივ [illegible]. ნაშუადღევის სამ საათზე ბაღი და მთელი მიდამო ხალხით იყო გაჭედილი, წითელის ნიშნებით და რევოლიუციონურის დროშებით. ტრიბუნას გარშემო იდგა ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცები აფიცრებით, რომელთაც თოფებზე წითელი დროშები ქონდათ გაკეთებული. თავსა და ბოლოში კიდევ იდგა ორი ორკესტრი: დეპოს მუშებისა და ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიის მოწაფეებისა. კრება გახსნა მასწავლებელმა ბ. შალაევმა და მოითხოვა თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა გიმნაზიის დირექტორი ალ. მდივანი, მდივნად ნიკ. იმნაშვილი. ბ. თავმჯდომარემ გააცნო მიტინგს მომხდარი ამბები, შეეხო დღევანდელს მდგომარეობას და მოითხოვა მიტინგზე წესიერების დაცვა. ტრიბუნაზე ადის ჯარისკაცების დელეგატი ნიკ. კოლოკოლცევი, რომელიც მეტად შინაარსიან სიტყვას ამბობს, აქვეყნებს ახალს განკარგულებას ჯარისკაცთა ახალი უფლებების შესახებ და სდებს ფიცს, რომ ჯარი ხალხს აღარ უღალატებს და ბოლომდე ხალხთან ივლის ხელი-ხელ ჩაკიდებული. ხალხი მხურვალე ტაშით აჯილდოვებს მას. ამის შემდეგ გამოდიან სალაპარაკოთ ამხ. ნიკიფორე იმნაიშვილი, თეიმურაზ ჰუმბურიძე და კირილე ნინიძე (მუშათა საბჭოს სახელით). სამივე ამხანაგის რევოლიუციონური და მგზნებარე სიტყვები მაყურებლებს ჰხიბლავს, აჯადოებს და დიდხანს, სულ დიდხანს გაისმის „ვაშა“ და „აპლოდისმენტები“. ლაპარაკობენ სხვა ჯგუფების წარმომადგენლებიც: ელ. კარბელაშვილი, კონსტ. გაგუა, მღვდელი ბაგ. გიორგაძე და სხვ.

მიტინგს გამოაქვს სახელოვან დეპუტატისადმი კარლო ჩხეიძისა, და ახალი მთავრობის მისასალმებელი დეპეშის რეზოლიუცია და ბოლოს, თანახმათ დროებითი კომისიის დადგენილებისა, ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს ხაშურ-სურამის რაიონისათვის. კომიტეტში შედიან წარმომადგენელნი: მუშებიდან, ჯარისკაცებისაგან, მცხოვრებთაგან და სხვა. საღამოს მეშვიდე საათზე მიტინგი მშვიდობიანათ იშლება და აღფრთოვანებული ხალხი ჯარებთან ერთად წითელი დროშით და მუსიკით ქუჩებისაკენ გაემართება. აღმასრულებელი კომიტეტი-კი იმავე საღამოს იკრიბება თეატრის დარბაზში და არჩევს საჩქარო საკითხებს.

8 მარტს ადგილობრივ თეატრში შესდგა სად. მიხაილოვისა და ახლო მდებარე სადგურების რკინის გზის ყველა დარგის მუშებისა და მოსამსახურეთა კრება. შეიმუშავეს ტექსტი მისასალმებელი დეპეშისა—კ. ჩხეიძისა და პეტროგრადის მუშათა საბჭოსადმი გასაგზავნათ. მიტინგს თავმჯდომარეობდა ამხ. ნიკ. იმნაიშვილი, რომელმაც მკაფიოდ და სხარტათ გააცნო მუშებს მომხდარი ამბები და მისცა წინადადება საბჭოს შედგენისა, რაც დაუყოვნებლივ შესრულებულ იქნა. საბჭოში გავიდნენ სულ მოწინავე ამხანაგები. საბჭომ თავის მხრივ აირჩია 6 დელეგატი აღმასრულებელ კომიტეტში. ნიკო გურული.

საჭილაო. 12 მარტი. საუცხოვო დღეა. თითქოს ბუნებაც კი გრძნობს დიდებულ მომენტს. აღფრთოვანებული ხალხი ზღვავდება სამმართველოს წინ მოედანზე. დიდი, პატარა, ქალი და კაცი ყველას აქ მოუყრია თავი. სკოლიდან მოფრიალებს თავისუფლების წითელი დროშა შესაფერი ზე წარწერით. მას მოყვებიან მომღერალთა გუნდი. გუგუნებს მარსელიოზა. მოედანი ავსებულია ხალხით. აირჩიეს თავმჯდომარე. ის ხსნის მიტინგს. ორატორები მკაფიოთ აღნიშნავენ ხალხის დაუძინებელი მტრის ძველი რეჟიმის დამღუპველ საზარელ ნამოღვაწარს. ამ დროს ხალხმა ვერ შეიკავა ცრემლები, აქვითინდა. და-

---

ღრმათ დამწუხრებული დები: თეოლინე დომენტის ასული სურგულაძისა და ლასიონ წილოსანისა ბიძანები: ბათლომე და ნესტორ შამშეს ძე ჭყონიები ბიცოლები: ნინუცა და მაშო, ბებია მართა და მამიდა ნინუცა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარი

სიმონ დომენტის ძე ჭყონიას

ტრაღიკულათ გარდაცვალებას ქ. ტრაპეზუნში. კვირას 12 მარტს ცხედარი მოსვენებული იქმნა სამშობლოში ს. ჩიბათში (გურია) 18 მარტს, ექიმი მიშა იაშვილის დახმარებით, რაზედაც უღრმეს მადლობას ვსწირავთ ზემო მოხსენებულ ექიმს ღრმათ დამწუხრებული კეთილები. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 23 მარტს.

კვირას 26 მარტს, დილის 10 საათზე დანიშნულია ხარფუხის საზოგადო კლუბის

წევრთა კრება.

განსახილველი საგნები: 1) მამასახლისთა საბჭოს მოხსენება კლუბის საქმეების შესახებ, 1916 წ. ანგარიშის და სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა, მოხსენებები სხვადასხვა საკითხების შესახებ, მამასახლისების მათი კანდიდატების და სარევიზიო წევრთა არჩევნები. არჩევნები კლუბის წევრთა და კანდიდატებისა.

გამგეობა პროფესიონალური კავშირისა მოსამსახურეთა კლუბების, რესტორნების, სასტუმროების და საჩაიო-საყავეებისა აცხადებს, რა წევრთა საყურადღებოთ, რომ პარასკევს 24 მარტს, 1917 წელს დანიშნულია

წლიური საზოგადო კრება

სახალხო სახლის დარბაზში დილით 9 საათზე.

განსახილველია:

1. მოხსენება გამგეობისა; 2. განხილვა და დამტკიცება გამგეობის მოქმედებისა და ანგარიშისა; 3. განხილვა და გადამუშავება ძველი წესდებისა; 4. დამატებით არჩევნები გამგეობის წევრისა და 5. მიმდინარე კითხვები.

გამგეობა აუწყებთ ოჯახის და სხვა მომუშავეებს დაესწრონ კრებს.

გამგეობა

ას რაიმე დღევანდელი დიდებული რევოლიუცია. გაუმარჯოს ახალ სახალხო დროებით მთავრობას, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს მუშათა საბჭოს დეპუტატებს, გაუმარჯოს თავისუფლებისთვის მებრძოლთ: პროლეტარიატს, ჯარს, და მათი მებაირახტრე სოციალ დემოკრატიასა, იგრიალა ხალხმა. თავისუფლებისთვის დახოცილთა მოხსენებაზე ხალხი ქუდს ახდის და მუხლ მოდრეკით პატივს სცემს, მომღერალთა გუნდი გალობს „თქვენ მსხვერპლათ დაეცით“... მიტინგი ადგენს კვირას 19 მარტს ყველა ეკლესიებში მოხსენებული იქნას თავისუფლების მსხვერპლნი წირვაზე. გადააყენეს ყველა ძველი მოხელეები. შემდეგ სამმართველოდან ჩამოიღეს მეფის სურათი და მის მაგივრათ იქ აფრიალეს თავისუფლების წითელი დროშა. დაადგინეს გაეგზავნოს დეპეშები პეტროგრადში: სახ. სათათბიროს თავმჯდომარეს როდზიანკოს და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს ჩხეიძეს, ტფილისში—თავმჯდომარეს მუშათა დეპუტატების საბჭოს ნოე ჟორდანიას და „ერთობის“ რედაქციას.

გაილგიძა.

თავრიზი. უსაზღვრო სიხარულით ულოცავთ რედაქციას მოპოვებულ თავისუფლებას, რისთვისაც კაცობრიობის საუკეთესო შვილთა სისხლის ზღვაა დანთხეული. დაიმსხვრა სულის შემხუთველი ბორკილები. მთელი თავრიზის გარნიზონი, რიცხვით ოცი ათასი კაცი უსაზღვრო სიხარულს განიცდის. მოულოდნელმა ამბავმა დიდი გავლენა მოახდინა. მთელი აქ დაბანაკებული ჯარი ყაზახთა პოლკითურთ უსაზღვრო აღტაცებას ეძლევა ლაპარაკი ძველის დაცვაზე მეტია. ამ დღეებში ყველამ მისცა ფიცი ახალ მთავრობას. მოეწყო გრანდიოზული მანიფესტაცია, რომელიც ორი ვერსი სიგრძით წითელი დროშებით ხელში წარმოუდგენელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ისმოდა ყველა როტებში და ასეულებში მარსელიოზა. სალდათები თავისი აფიცრებითურთ წითელი ლენტებით შემკობილნი აუწერელ გავლენას ახდენდენ. გაიარეს მთელი თავრიზი. გზაში მანიფესტანტებს უერთდებოდა ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სხვათა საკონსულოს მოქალაქენი. წესიერება საუცხოვოთ იყო დაცული. გზაში დასვენებისას ყველა როტებში ხელდავდით მაღლობზე ახალ აფიცრებს და სალდათს, რომელთა მქუხარე სიტყვა ვაშასა და ურას ძახილით იფარებოდა. მეორე დღეს არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც თანასწორათ შედის სალდათთა და აფიცერთა წარმომადგენელი. გადაწყდა მჭიდრო კავშირი იქონიონ თფილისის და პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებთან. არჩეულ იქნა წარმომადგენელი, რომლებიც ამ დღეებში წავლენ.

რაფიელ ალანელი.

ბელი-კლიუჩი. 9 მარტს მოხდა 118 სათადარიგო პოლკის ჯარისკაცთა, აფიცერთა და ადგილობრივი მცხოვრებლების შეერთებული მიტინგი. მიტინგს წინ მიუძღოდა ორკესტრი, რომელიც მარსელიოზას უკრავდა. დარაზმულ ყოველ როტას თავისუფლების წითელი დროშა ამშვენებდა, წაკითხულ იქნა დროებით მთავრობის მიერ მოწოდება ჯარისადმი. მხურვალე სიტყვები წარმოსთქვეს ამხანაგმა სალდათებმა და აფიცრებმა და მოუწოდეს ერთი მეორეს შეკავშირებისკენ. დაგმეს ყოვლად საზიზღარი და დახავსებული ძველი მთავრობის მოხრენი და მოუწოდეს სალდათებს და აფიცრებს დაუჭირონ მხარი დროებით მთავრობის. დაარსდა სალდათისა და აფიცერთა საერთო ორგანიზაცია, რომელიც განიხილავს ყოველივე საჭირ-ბოროტო კითხვებს დღევანდელი მომენტის შესახებ; ორგანიზაციას დამოკიდებულება ექნება ყველა სალდათების და აფიცერთა შორის დაარსებულ ორგანიზაციასთან და დროებით მთავრობასთან. ამის შემდეგ გაუგზავნეს მისალმების დეპეშა სახ. დუმის თავმჯდომარეს როძიანკოს და მინისტრთა თავმჯდომარეს ლვოვს.

ვსთხოვთ ყველა რედაქციებმა გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

ჯარისკაცი.

კოოპერატიული მოძრაობა

ს. ქვემო ჯვარცხმა. (გურია). 2 თებერვალს მოხდა ადგილობრივ სასწავლებლის შენობაში ჯვარცხმა-ინტაბუეთის მომხმარებელ კოოპერატივის „შეღავათის“ წლიური კრება. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს სამ. ჭანიშვილი, მდივნათ მ. ჭანიშვილი, სულ წელიწად ნახევარია რაც ამ სოფელში დაარსდა ს. ბერეჟოულის მომხმარებელ „შეღავათის“ განყოფილება. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალ გახსნილ ამხანაგობის გამგეობა ყოვლათ შეუფერებელი გამოდგა, რომლის წყალობით კინაღამ გაქრა ამხანაგობა, და გამოიწვია სოფლური და კუთხური პროვოკაციები, ამიტომ სამუდამოთ რომ არ გამქრალიყო ეს ამხანაგობა გამოეყო ბერეჟოულს და აირჩიეს ახალი გამგეობა ვლადიმერ უნგიაძე, ა. პაიჭაძე, ს. ბოლქვაძე, კ. პაიჭაძე, ვლ. ჩიგოგიძე. კრებაზე გამოირკვა შემდეგი: თუ რა უმოქმედებია გამგეობას ამ ერთი წლის განმავლობაში, შეუძენიათ მიწა, რომელზედაც აუგიათ ფურნე და ქვის შენობა დუქანი, რაც დაჯდომიათ 2155 მ. 61 კ. ოპერაცია დაუწყიათ 305 მანეთით. 26 კ. წევრები მიუღიათ 310 საწევრო 1 მ. საპ. 10 მ. აუღიათ სესხი საჭიროებისდაგვარათ. საერთო ჯამის ტრიალი 17 იანვრამდე უდრის 19,864 მ. 81 კ. წმინდა მოგება ყოველივე ხარჯ გამოკლებით—1.127 მ. 43 კ. საყურადღებოა ის, რომ საქონელი გაუყიდიათ 7 პროც. მოგებით, ყოველივე ანგარიშებს ადასტურებს სარევიზიო კომისია. კრებამ ანგარიშები დაამტკიცა და უღრმესი მადლობა გამოუცხადა გამგეობას და სარევიზიო კომისიას. შემდეგ ამისა კრება შეუდგა მოგების განაწილებას. დიდი კამათის შემდეგ გაანაწილეს ამ გვარათ: სათადარიგო თანხისთვის გადადვეს 113 მ. ქართველ მოღვაწეთა აგარაკისთვის—40 მ., გაზეთ „კოოპერაციისათვის“ 20 მ. კრებამ დააჯილდოვა გამგეობის 2 წევრი ვლ. უნგიაძე 100 მ. ალექ. პაიჭაძე—100 მ. და ნოქარი დათ. თავბერიძე 50 მანეთით. დ ნარჩენი 704 მ. 43 კ. გადასდო კრებამ გასული წლის ხარჯების დასაფარავათ. მხოლოდ ბ.ბ. დათიკო თავბერიძემ და ალექსანდრე პაიჭაძემ თვისი ხვედრი ჯილდოთ მინიჭებული პირველმა 50 მ. და მეორემ 100 მ. შესწირა ჯვარცხმა-ინტაბუეთის მომავალი წ. ს. სამკითხველოს, რისთვისაც კრებამ უღრმესი მადლობა გამოუცხადა.

ამის შემდეგ კრებამ სასურველათ სცნო ეკამათათ ჩოხატაურ-საჯავახოს შუა ეტლთა მიმოსვლის მოგვარების შესახებ, სადაც მოგზაურობა ძლიერ ცუდათ არის მოწყობილი. დიდი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: საჯავახო-ოზურგეთშუა იქნეს მოწყობილი ავტომობილთა მიმოსვლა, და გადასდო ამ საქმის მოსაწყობათ თითოეულ წევრზე 1 მ. და დაავალა მომავალ გამგეობას ამ საქმის დაჩქარება. აირჩიეს კომისიაში ნ. პაიჭაძე, კ. ჩიგოგიძე და მ. ჭანიშვილი.

შემდეგ გამგეობამ ითხოვა განთავისუფლება, მაგრამ კრებამ არ გაანთავისუფლა. სთხოვა ბ დაარჩინენ ძველები. მხოლოდ სარევიზიო კომისიაში აირჩიეს ხ. სანთიძე, ნ. პაიჭაძე და ახალი ლ. შარაშენიძე.

შემდეგ კრებამ განიხილა მომავალი 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, დაადგინა მიეცეს საქონლის მომწოდებელს ვლადიმერ უნგიაძეს თვეში 35 მ. წიგნების მაწარმოებელს ალ. პაიჭაძეს თვეში 15 მ. მხოლოდ უკანასკნელმა კრებას უჯამაგიროთ სამსახური შეჰპირდა, მაგრამ კრება არ დასთანხმდა. უკანასკნელათ კრებამ გამოთქვა სურვილი გაიხსნას სახარაზო დუქანი.

ა. ქორომაძ-პირელი.

გაზეთის სასარგებლოთ.

სტ. სეფე ხომასურიძის უდროოვოთ გარდაცვალებამ გული მომიკლა. მისი ჭირისუფლების მწუხარებას ჩემს მწუხარებასაც უერთებ. ამასთანავე გახლებთ ხუთ მანეთს ივლიანე იაშვილის დასახმარებლად. იმედი მაქვს სხვებიც არ დაიშურებენ ტანჯული ადამიანის დახმარებას.

ვასილ კირვალიძე.

ნოე მგალობლიშვილმა ნახევარი წლით გამოუწერა ჩვენი გაზეთი ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს. გარდა ამისა ჩვენი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ შემოსწირა 3 მან.

თფილისი. ძვირფას დაუვიწყარის განსვენებული გიორგი ზაქარიას ძე ფრანგიშვილის თანამოაზრე რკინის გზის მოსამსახურე ნაცნობ-მეგობრებ ნათესავებმა ჩვენ შორის შევკრიბეთ მისი ხსოვნის აღსანიშნავათ 73 მან. 50 კ. და ვანაწილებთ შემდეგნაირათ: 10 მ. ვსწირავთ „ერთობას“ ფონდის გასაძლიერებლათ, 13 მ. 50 კ. სოფ. ჭაგანის სამკითხველოს. 50 მან. კი მის უმწეოთ და უიმედოთ დატოვებულთ მეუღლეს და დედას განსვენებულის ძეგლის სასარგებლოთ. შემომწირველთა სია: ხუთი მანეთი ილარიონ შენგელიამ; სამ-სამი მანეთი: იაკინთე და ლადიმერ ფრანგიშვილებმა, კოსტა შენგელიამ, გიორგი დობერიძემ და ერმილე ფოცხვერიამ; ორ-ორი მანეთი: ათანას, იასონ, ივანე, ბიქტორ და ვასიკო ფრანგიშვილებმა, ამიროზ ალანიამ, ფილიპე და სევასტი კეკელიებმა, ბართლომე ფოცხვერიამ და ვასილ, პროკოფი, კოსტა, კალისტრატე, არსენ და გიორგი ფრანგიშვილებმა; თითო მანეთი: ბურდღუ, კონსტანტინე, ნოვე, დიმიტრი და ათანას ნიკოს ძე ფრანგიშვილებმა, ალექსი კაკაბაძემ, ვასო ვაშაკიძემ, ბესარიონ ჯიქიძემ, ბესარიონ და გირგოლ კეკელიებმა, პავლე შენგელიამ, კოსტა ფარულავამ, პეტრე ხვედელიძემ, გიორგი ღუდუჩავამ და სერაპიონ ფრანგიშვილმა; ათ-ათი შაური: სარდიონ ლანტიძემ, სევერიანე ფოცხვერიამ, ოქრუა ბუაძემ, ლადიმერ გეჯუჩავამ, დათიკო ვაშაკიძემ, ვასო ცინცაძემ, ვასილ ელისაბედაშვილმა, მიხეილ ფარეიშვილმა, კოსტა სარიევმა, ანთიმოზ ჭანტურიამ, ისიდორე ბუაძემ, ვანო ნიკურაძემ, მიხაილ კაკაბაძემ, ივანე სვანიძემ, ვლადიმერ ფრანგიშვილმა, ივანე მანჯგალაძემ და ა. ლ. პოპოვმა.

მონდობილობით **იაკინთე ფრანგიშვილი.**

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენი გაზეთის უახლოვეს ნომერში შემდეგ ანგარიშს: სამტრედიის გან. ქართულ საქველმოქმედო საზ. გამგეობის მიერ იქმნა გამართული 13 იანვარს ყულაბებით ფულის მოგროვება ქ. სამტრედიაში, საჯავახოში, კულაშში, ჯიხაიშში და საჭილაოში—ნივთიერ საშვალებათა გასაძლიერებლათ. სულ 16 ყულაბაში აღმოჩნდა—616 მ. 82 კ. ხარჯები გაწეული ამის შესახებ—109 მ. 83 კ. წმინდა დარჩა—506 მ. 99 კ.

ამავე საზოგადოების გამგეობის მიერ იმავე მიზნით გამართულ იქმნა სამტრედიაში 5 თებერვალს საღამო. საღამოს საერთო შემოსავალი შემდეგია: ბილეთებისაგან 607 მ. 90 კ., ყვავილებისაგან—115 მ. 62 კ., ბუფეტისაგან—154 მ. 35 კ, სულ 877 მ. და 87 კ. ხარჯი საღამოს გამართვის გამო გაწეული შეადგენს 368 მ. დარჩა წმინდა 509 მ. 49 კ.

გამგეობა მადლობას უცხადებს ქ-ნ მ. კანდელაკისას, ნ. მიქელაძისას, მ. მჩინსკაიას, ო. ურუშაძისას, ც. ჯაშისას, ს. კალინსკაიას, ვ. მელქაძეს, მ. ჩუბინაშვილს, მ. ერისთავს, ა. ნინიუას, ბ. ხაბლოვსკის, ტორონჯაძეს, პ. უგრეხელიძეს, ზარქუას, ადგილობრივ სცენის მოყვარეებს და ყველა მათ, ვინც გამგეობას რაიმე დახმარება აღმოუჩინა, როგორც პირველის მოწყობაში, ისე მეორეს გამართვაში.

გამგეობა.

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით ურღმესი მადლობა გამოუცხადოთ ბ-ნ ილარიონ მახარაძეს, რომელმაც კეთილ ინება და თავის გარდაცვალებულ ძმის, ივანეს სახელზე შემოსწირა ვანისქედის წიგნთ საცავ-სამკითხველოს ოცი (20) მანეთი.

გამგეობის მონდობილდ. **სიმონ შარაშიძე.**

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ შემდეგ პირთ: იოსებ კალანდაძეს გაზეთ „ერთობის“ ერთი წლის გამოწერისათვის, აბრამ პ. მიქაძეს 5 მან. ბაბო შალიბაშვილისაგან, ვალიკო ავალიშვილისაგან, ლადო ბილანიშვილისაგან, გიგა ვარგუსაშვილისაგან თითო მან.

ქუკიის წმ. ნინოს უბნის ბიბლიოთეკა სამკითხველოს გამგეობა.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

6 მარტს ნავთლუღის განმანაწილებელ პუნქტში მოიყვანეს შემდეგი დაავათმყოფებული ჯარის კაცები:

პარცხავა პლატონ იაკობის ძე, ზაგაშვილი ალექსი გრიგოლის ძე, წუწუნავა ქსენტი სოლომონის ძე, მაზმიშვილი მიხელ ალექსის ძე, შამუგია ვასილი ივანეს ძე, ჩაბანაშვილი მიტროფან ზაქარიას ძე, ჩუბინიძე გიორგი ქაიხოსროს ძე, ვარაშვილი ივანე ზაქროს ძე, კუბელაძე გრიგოლ იოსების ძე, ჩიკარაშვილი ფედორ ილიას ძე, ჩაჩანიძე პავლე გიორგის ძე, ფრიდონაშვილი რომან მოსეს ძე, პილიაშვილი მიხელ იაკობის ძე, ესიაშვილი გიორგი გიორგის ძე, კოპალეიშვილი მიხელ კონსტანტინეს ძე, გაფრინდაშვილი სიმონ ალექსის ძე.

ბ. ჭანტურია.

უმორჩილესათ გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ოსმალეთის ასპარეზზე მყოფი დაავათმყოფებული ჯარის კაცნი:

დიმიტრი ზაქარიას ძე ბესაია (სენაკის მაზრა). ერმილე გიორგის ძე სხულუხია, სალხინოს მცხოვრები (სენაკის მაზ.), აქსენტი ანტონის ძე გაბრავა, სოფელი ხეთა (ზუგდიდის მაზ.), ერმილე ზოსიმეს ძე ქურჩუბელია, ზაქარ მიხეილის ძე კაჩაზოვი, გორის მაზ., სოფ. წალინა, ნიკოლოზი ანდრიას ძე კილანდია, ზუგდიდის მცხოვ., არტემ კინტირიას ძე მარღანია, ზუგდიდის მაზ., ს. გუდა. კიპო ხოსიკიას ძე ბებია, ზუგდიდის მაზ., სოფ. კვიტაური, ნოვე ივანეს ძე ძიმცარიშვილი, ოზ. მაზ. სოფ. ჩხოროხა, იაკობ გლახუს ძე გოგიბერიძე, ოზურგ. მაზ., ს. ასკანა, დიანოზ სიმონის ძე ახალაია, ზუგდიდის მაზ., ს. საიჯა, იაკიმე ბესარიონის ძე ჯანჯალია, ქუთ. მაზ., სოფ. ლაფალაური, ესტატე კუჭას ძე ძანძავა, სუხუმის ოლქი, ესტატე პავლეს ძე შონია, სენაკის მაზ., ისიდორე მარშანის ძე გობეჩია, ზუგდიდის მაზ.

ვიმყოფებით ბათუმის სამხედრო საავათმყოფოში № 377.

დ. ტ. მაისაია.

არსენ ადოს ძე ჩხაიძის საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ მისი შვილი პლატონი გარდაიცვალა და დასაფლავებულია ქ. მამახათუნში.

მისი მშობლების მწუხარების მონაწილე ჯარის-კაცი **ლავრენტი მ. ტუხკია.**

ჩვენი ფოსტა.

ალე წიველს. მიმართეთ ყვირილის მუშათა საბჭოს და ის დაგეხმარებათ.

რედ.-გამომცემელი **გლ. მ. ბოხოხაძე.**

[illegible]

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავის ტკივილის, —ტიპით. დიდი [illegible] სპეციალური [illegible] და არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფებისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭეჭების, სისხლ ნაკლებობის, უძილობის, ნევრასთენიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობისთვის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი პ ი გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევსკის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი [illegible]

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს **ბავშვთა** და **შინაგანი** სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

მეუღლე ნინო გაბრიელის ასული, მარიამ გრიგოლის ასული, სიძე კონსტანტინე იოსების ძე პატარქალაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს

გრიგოლი ზაქარიას ძე ოძელაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 23 მარტს, დილის 10 საათზე და დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე თავის სახლში. 2—1

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე სამსონ თეიმურაზის ძე გუგუშვილი, შვილი პროფესორი ნიკო იაკობის ძე მარრი მეუღლე ალექსანდრა ალექსის ასულით, შვილიშვილები გიორგი და ვოლოდია ნიკოლოზის ძენი მარრები, გერი იონა სამსონის ძე გუგუშვილი, ძმის წული ვადასია იასონის ასული ძნელაძე და ტატიანა კალანდაძის ასული, ნათლულები, უჩენ და ევგენია მარრები, გიორგი, ალექსანდრე და მიხაკო მარრები, აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ალათი გუგუშვილისა

რომლის დასაფლავების დღე დანიშნულია 23 მარტს დღითი ხუთშაბათს საყვავისტყის ღვთის მშობლის ეკლესიაზე გურიაში.

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი მეუღლე ტასია, შვილები ჩიტო, კარლო და ვალოდია; ძმები ალექსი, იაკინთე და სოლომონ: დები მართა და კესარია; რძალი პატკუ (ნინა); ძმის წულები ვენერა და ელეონორა (კუკნა) აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

იაგორ გაბრიელის ძე გოლკვაძის

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია 23 მარტს, დღითი ხუთშაბათს, მიქელ-გაბრიელის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაზე დილის ათ საათზე (გურია).

3—3

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი
სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.
ხუთშაბათს, 23 მარტს 1917 წ. წარმოდგენილი იქნება:

ექიმი შტოკმანი
ანუ ხალხის მტერი.

დრ. 5 მოქ. გ. იბსენისა, თარგ. პოლუმორდვინოვისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მატარაძისა, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ნ. მჭედლიშვილი. ბ.ბ. გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ა. მჭედლიშვილი, ვ. მამაჯანოვი, თავდგირიძე, კაციაშვილი, ს. პეპანოვი, ხიმშელი, სალაყაია და თანამშრომლები.
დასაწყისი საღ. სწორეთ 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი 10 კ.-დან 54 კ.-მდე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე.
შემდეგი წარმოდგენა 8 აპრილს ✦ ✦ რეჟ. ქ. შათირიშვილი.

განცხადება თფილისის ქალაქის თავისაგან.

ვადა განცხადებების შეტანისა შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შესახებ თავდება 24 მარტს, ამა 1917 წლისა.

მიუხედავათ ამისა, როგორც თფილისის სახაზინო პალატის მმართველი გვატყობინებს, ამ ხანათ ასეთი განცხადებების შეტანა თითქმის სავსებით შეწყდა.

ვინაიდან შემოსავლის კვალობაზე გადასახადი არსებითად ღვიძლი შვილია ახალი წყობილებისა და სხვა გადასახადთა შორის ნათელი მოვლენაა, მე მივმართავ მოქალაქეებს ქ. თფილისისას და მისი გუბერნიისას ნუ დააყოვნებენ შემოსავლის კვალობაზე გადასახადების შესახებ დეკლარაციების შეტანას, და მით მოიხადონ თავიანთი მოქალაქობრივი ვალი.

განცხადება.

თანახმად ლანჩხუთის დროებით აღმას. კომიტ. დადგენილებისა 27 მარტიდგან ამა 1917 წელსა განახლდება მუშაობა ლანჩხუთის სახაზინო ტყეებში. ამისათვის მოუწოდებ ყველას ვინც ჩემთან ჩაწერილი იყო, გამოცხადდენ სამუშაოზე არა უგვიანეს ზემო დანიშნულ რიცხვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვინც არ გამოცხადდება იძულებული ვიქნები ვაცნობო სამხედრო საკრებულოს გამოსარიცხავათ.

3—1 **გიორგი ალექსანდრეს ძე საბახტარიშვილი.**

ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხეილოვის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა.
ოთხშაბათს, 22 მარტს, ქართულ დრამატიულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ
წარმოდგენილი იქნება

სტუმარი

2 მოქ. ედვარდ-ბრანდესის, თარგ. ი. მაჭავარიანისა.
დასაწყისი საღამოს **8 ნახ.** საათზე.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

ქ. თფილისში, ოლღის ქ. № 6, ს.-გაზეთების კანტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება“-ში

[illegible] ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსყიდველთ ფული გამოგზავნისთანავე.

[illegible] აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები „სახალხო აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, ჟურნ. „განათლება“, [illegible], [illegible], „პაიქარი“, რუსული ჟურნალი „დელო“ და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ.